PEN AMERICA

კულტურის მოთვინიერება საქართველოში

შინაარსი

შესავალი	4
ლიტერატურა	9
სახვითი ხელოვნება	12
მუზეუმები	13
ხელისუფლების ჩარევა კულტურის დარგში კვლევითი პროექტების საგრანტო დაფინანსებაში	17
კინემატოგრაფია	20
დოკუმენტური ფილმი "მოთვინიერების" ჩვენების გაუქმება	22
თეატრი	24
ეროვნული და საერთაშორისო სამართალი ადამიანთა უფლებათა სფეროში	25
დასკვნა და სამომავლო ნაბიჯები	27
რეკომენდაციები საქართველოს მთავრობის მიმართ	29
რეკომენდაციები საერთაშორისო საზოგადოებრიობის, მათ შორის ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ	30
მეთოდოლოგია	31
მადლობის გადახდა	31

შესავალი

ავტორები: პოლინა სადოვსკაია და ჯეინ ბიუკენენი

მრავალი წლის განმავლობაში ქართველებსა და საერთაშორისო საზოგადოებრიობას დიდი იმედი ჰქონდათ, რომ საქართველო გახდებოდა დემოკრატიის და ადამიანის უფლებების პატივისმცემელი პლაცდარმი იმ რეგიონში, რომელიც, უარეს შემთხვევაში, ავტორიტარულ სახელმწიფოებს, როგორებიც რუსეთი და ბელარუსია, და უკეთეს შემთხვევაში, სუსტი დემოკრატიული სისტემების და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით მუდმივი პრობლემების მქონე ქვეყნებისგან შედგება.

სამწუხაროდ, ბოლო წლებია, განსაკუთრებით 2022 წელს უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ, ეს იმედები ცრუვდება და როგორც ქართველი აქტივისტები და ექსპერტები გვაფრთხილებენ, ქვეყანა ავტორიტარიზმისკენ მიექანება. საქართველოს უკუსვლაზე ბევრი რამ მიუთითებს, მათ შორის უსამართლო არჩევნები,[1] საპროტესტო დემონსტრაციების ძალადობრივი დაშლა,[2] ჟურნალისტებსა და დამოუკიდებელ მედიაზე თავდასხმები და მათ საქმიანობაში ჩარევა,[3] კორუფციასთან მებრძოლი აქტივისტების მუშაობის ობსტრუქცია[4] და საქართველოს საზოგადოებასა და პოლიტიკურ ხელმძღვანელობას შორის დაპირისპირების გაღრმავება.[5] 2022 წელს ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის თანახმად, 40%-ზე მეტი ქართველი ფიქრობს, რომ ქვეყანაში დემოკრატია უკუსვლას განიცდის.[6]

2022 წლის მარტში, ანუ უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ რამდენიმე დღეში, საქართველომ ევროკავშირის წევრობაზე განაცხადი შეიტანა. ამ ნაბიჯით მან, თითქოსდა, ვალდებულება აიღო, დაეცვა ევროკავშირის ღირებულებები - დემოკრატია, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები.[7]

---

[1] ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, „საქართველოს არჩევნები იყო კონკურენტული და ფუნდამენტური თავისუფლებები დაცული იყო, მაგრამ ბრალდებებმა ზეწოლის შესახებ და მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის ბუნდოვანმა ზღვარმა საზოგადოების ნდობა შეამცირა, განცხადეს საერთაშორისო დამკვირვებლებმა," პრესრელიზი, 2020 წლის 1 ნოემბერი, osce.org/odihr/elections/georgia/469017; "Thousands rally in Georgia's Tbilisi against election results," Al Jazeera, 14 ნოემბერი, 2020, aljazeera.com/news/2020/11/14/thousands-rally-in-tbilisi-to-protest-election-results

[2] Jake Cordell, "Georgian police use water, tear gas in move to break up second day of protests," Reuters, 8 მარტი, 2023, reuters.com/world/europe/georgian-protesters-rally-tbilisi-after-violent-clashes-with-police-2023-03-08/; „ადამიანის უფლებათა ცენტრი აქციებზე პოლიციელების არაპროპორციულ გამოყენებაზე საუბრობს," Civil, 28 სექტემბერი, 2023, civil.ge/archives/561310

[3] Saba Gujabidze, "Media Attacked, Hospitalized While Covering Violent Protests in Tbilisi," 16 ივლისი, 2021, voanews.com/a/press-freedom_media-attacked-hospitalized-while-covering-violent-protests-tbilisi/6207913.html; „ჟურნალისტები ფარულ ჩანაწერებში სასულიერი პირებთან საუბრებს ადასტურებენ," Civil, 14 სექტემბერი, 2021, civil.ge/archives/440221

[4] Transparency International, "Transparency International concerned over threats to civic space and corruption in Georgia," პრესრელიზი, 14 თებერვალი, 2023, transparency.org/en/press/transparency-international-concerned-over-threats-to-civic-space-and-corruption-in-georgia; Shota Kincha, "'These are not reforms!': Georgia's proposed anti-corruption agency comes under fire," 1 ნოემბერი, 2022, oc-media.org/these-are-not-reforms-georgias-proposed-anti-corruption-agency-comes-under-fire/

[5] "Letter of Concern," Open Government Partnership, ნანახია 13 ოქტომბერს, 2023, opengovpartnership.org/wp-content/uploads/2023/04/Georgia_Letter-of-Concern_20230413.pdf;
Givi Silagadze and The Caucasus Datablog, "Datablog | Most Georgians believe that Georgia is not a democracy," OC Media, 20 სექტემბერი, 2022, oc-media.org/features/datablog-most-georgians-believe-that-georgia-is-not-a-democracy/

[6] საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) საზოგადოებრივი აზრის კვლევა, 2020 წლის მარტი, iri.org/resources/public-opinion-survey-residents-of-georgia/

[7] ევროკომისია, „ევროკომისიის მოსაზრებები საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობაზე გაკეთებული განაცხადის თაობაზე," 17 ივნისი, 2022, neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/opinion-georgias-application-membership-european-union_en

საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა მხარს უჭერს ევროკავშირში გაწევრიანებას, მაგრამ, როგორც ჩანს, პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება," რომელიც 2012 წლიდან ხელისუფლებაშია, სულ უფრო მეტად ექცევა რუსეთის გავლენის ქვეშ.[8] მას პირდაპირ რუსული სახელმძღვანელოთი მოქმედებაში ადანაშაულებენ: წელს, რამდენიმე თვის წინ, ათასობით დემონსტრანტი გამოვიდა ქუჩაში, როდესაც ხელისუფლებამ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონის მიღება სცადა. ეს კანონი თითქმის რუსეთის ავადსახსენებელი „უცხოეთის აგენტების კანონის" ანალოგიური იყო, რომელსაც რუსეთში დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის გასანადგურებლად იყენებენ.[9] დემოკრატიულ ღირებულებებზე ასეთი თავდასხმების კრიტიკოსები აცხადებენ, რომ სამთავრობო პოლიტიკას კვლავ ყოფილი პრემიერმინისტრი - რუსეთში გამდიდრებული მილიარდერი და პარტია „ქართული ოცნების" დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი მართავს, მიუხედავად იმისა, რომ მას არანაირი სახელმწიფო თანამდებობა არ უკავია.[10]

საქართველოს ტრაექტორიას საერთაშორისო აქტორებიც აკრიტიკებენ და მედიის თავისუფლებაზე თავდასხმებს და თავისუფალი გამოხატვის დევნისა და შევიწროების მსუსხავ ეფექტს განსაკუთრებით უსვამენ ხაზს.[11]

საქართველოს მთავრობა აგრძელებს ნაბიჯების გადადგმას ევროკავშირის წევრობის მისაღწევად. 2022 წლის ივნისში, საქართველოს, კანდიდატის სტატუსის მისაღებად, ევროკავშირმა პირობად 12 პრიორიტეტული საკითხის მოგვარება წაუყენა.[12] ევროკომისიის სტანდარტებით, საქართველოს მთავრობამ ევროკავშირის მიერ დაწესებული პირობების შესრულებაში გარკვეული წინსვლა აჩვენა, მაგრამ, როგორც ევროკომისია აღნიშნავს, ორ მთავარ პრიორიტეტზე - დეოლიგარქიზაციასა და მედიის თავისუფლებაზე, წინსვლა ან უმნიშვნელოა ან საერთოდ არ ჩანს.[13] საქართველოს პოლიტიკის ექსპერტების თქმით, პოლიტიკური ნება იმისა, რომ ევროკავშირის ყველა მოთხოვნა შესრულდეს, რომელთა უმეტესობაც ადამიანის უფლებებს უკავშირდება, არ არსებობს.[14] „ის, საითაც საქართველო მიდის, ევროკავშირი ნამდვილად არ არის," თქვა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების აქტიურმა წევრმა, რომელიც ამერიკის პენცენტრს ანონიმურობის დაცვის პირობით ესაუბრა.[15]

---

[8] Dato Parulava, "Georgians fear their government is sabotaging EU hopes," Politico, 11 ივლისი, 2022, politico.eu/article/georgian-fear-government-sabotaging-eu-hope/

[9] Office of the High Commissioner for Human Rights, "Report of the Special Rapporteur on the situation of human rights in the Russian Federation Mariana Katzarova," ნანახია 2023 წლის 13 ოქტომბერს, https://www.ohchr.org/sites/default/files/documents/hrbodies/hrcouncil/sessions-regular/session54/advance-versions/A_HRC_54_54_AdvanceEditedVersion.docx; Kaela Malig, "How Russia's Press Freedom has Deteriorated Over the Decades Since Putin Came to Power," PBS FRONTLINE, 26 სექტემბერი, 2023, pbs.org/wgbh/frontline/article/russia-putin-press-freedom-independent-news/;
Nino Ugrekhelidze and Salome Chagelishvili, "Georgia's new foreign agent law puts the country on the verge of a human rights crisis," openDemocracy, 8 მარტი, 2023,

[10] "არის თუ არა საქართველო მიტაცებული სახელმწიფო?" საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 11 დეკემბერი, 2020, Wealth of Top Georgian Judge Highlights Obstacles Along Country's Path to Europe," Organized Crime and Corruption Reporting Project, 7 აგვისტო, 2022, occrp.org/en/investigations/unexplained-wealth-of-top-georgian-judge-highlights-obstacles-along-countrys-path-to-europe

[11] მაგალითად, საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობაზე გაკეთებულ განაცხადზე მომზადებულ ევროკომისიის დასკვნაში კონკრეტული შეშფოთებაა გამოთქმული მედიის თავისუფლების, მათ შორის დაშინების და დაუსაბუთებელი გამოძიებების შესახებ, რომლებსაც „მსუსხავი ეფექტი აქვთ მედიის მიერ მოვლენების კრიტიკულ გაშუქებაზე." „ევროკომისიის მოსაზრებები საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობაზე გაკეთებული განაცხადის თაობაზე," 17 ივნისი, 2022, neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/system/files/2022-06/Georgia%20opinion%20and%20Annex.pdf.

[12] ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, „12 პრიორიტეტი," https://www.eeas.europa.eu/delegations/georgia/twelve-priorities_en; და "Why was Georgia not granted EU candidate status?," EuroNews, 24 ივნისი, 2022, uronews.com/my-europe/2022/06/24/why-was-georgia-not-granted-eu-candidate-status.

[13] „ევროკომისიამ ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის პროგრესზე მოხსენება წარადგინა," Civil, 21 ივნისი, 2023, civil.ge/archives/549146.

[14] ინტერვიუ ლევან ცუცქირიძესთან, ღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრი, 2023 წლის მარტი, ასევე, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების სხვა ცნობილ წევრებთან, რომლებმაც ანონიმურად დარჩენა ისურვეს.

[15] ამერიკის პენცენტრის ინტერვიუ, 23 აგვისტო, 2022.

იმ დროს, როდესაც ხელისუფლების ჩარევა სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობაში და მათზე კონტროლის გაძლიერება მუდმივ შეშფოთებას იწვევს, შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა იმ საფრთხეს, რის წინაშეც საქართველოს კულტურის სექტორი, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ეს უმნიშვნელოვანეს კომპონენტი, დგას და რომელიც გამოხატვის თავისუფლების, ინფორმაციის წვდომისა და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებებს ემუქრება. ბოლო ორი წლის განმავლობაში ხელისუფლებამ მნიშვნელოვნად გააძლიერა კულტურის სფეროს კრიტიკულად განწყობილი წარმომადგენლების დაშინება, დევნა და მათ საქმიანობაში ჩარევა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ხელისუფლებას კულტურის აქტიური და დამოუკიდებელი სექტორი აშინებს.

კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი შეხვედრაზე 2017 წელს, როდესაც ის იუსტიციის მინისტრის თანამდებობას იკავებდა.

ფოტო: არონ ურბი/ Flickr

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყანაში კულტურა ათწლეულების განმავლობაში ყვაოდა და მან პატივისცემა და აღიარება მოიპოვა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.[16] ცვლილებები 2021 წლის მარტში დაიწყო, როდესაც „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წამყვანი წევრი და იუსტიციის ყოფილი მინისტრი, თეა წულუკიანი, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრად დანიშნეს.[17] კულტურის ქართველი მოღვაწეები და ადამიანის უფლებათა დამცველები წულუკიანის დანიშვნას შემობრუნების წერტილად მიიჩნევენ ქართული კულტურისთვის, რადგან მინისტრი, დანიშვნისთანავე, ქვეყნის კულტურის წამყვანი ეროვნული ინსტიტუტების დასუსტებას აქტიურად შეუდგა.

წინამდებარე ანგარიშში გამოკვეთილია კულტურის სფეროს იმ წარმომადგენლების დევნის შემაშფოთებელი ტენდენცია, რომლებიც ხელისუფლებას აკრიტიკებენ ანდა ხელისუფლების ოფიციალური ხაზისგან განსხვავებულ მოსაზრებებს გამოხატავენ. მათ შორის არიან მხატვრები, მწერლები, კინემატოგრაფისტები, მუზეუმების თანამშრომლები, მკვლევრები და კულტურის სფეროს სხვა ექსპერტები.

---

[16] ამერიკის პენცენტრის ინტერვიუები ნატაშა ლომოურთან, 1 აგვისტო, 2022 და 2 ოქტომბერი, 2023; სალომე ჯაშთან, 3 აგვისტო 2022.

[17] „კულტურის მინისტრად თეა წულუკიანი დაინიშნა,“ Civil, 19 მარტი, 2021 civil.ge/archives/407312

ამის ერთ-ერთი განსაკუთრებით თვალშისაცემი ნიშანია კულტურის სამინისტროს ჩარევა ქვეყნის კულტურის წამყვანი დაწესებულებების ხელმძღვანელთა არჩევისა და დანიშვნის მექანიზმში, მათ შორის შესაბამისი კომპეტენციის არმქონე პირების მმართველ პოზიციებზე დანიშვნის გზით, რაც მანამდე არსებულ გამჭვირვალე პროცესს აზიანებს. ამ ახალი პროცესის ერთ-ერთი სერიოზული შედეგია კულტურის სფეროს დამოუკიდებელი, კვალიფიციური პროფესიონალების გავლენისა და საქმიანობის შეზღუდვა და დასუსტება. გადაწყვეტილების მიღება და მათზე კონტროლი ახლა სამინისტროს მიერ დანიშნული რამდენიმე პირის ხელშია და ისინი ამ სფეროდან იმ ადამიანების გაძევებას ცდილობენ, რომლებიც ხელისუფლების შეხედულებებს არ იზიარებენ. სამინისტრომ, ფაქტობრივად, ჩამოართვა ბევრ ამ ადრე დამოუკიდებელ დაწესებულებას ყველანაირი უფლებამოსილება, მიიღოს გადაწყვეტილება პერსონალთან, ბიუჯეტთან და სხვა შესაბამის საკითხებთან დაკავშირებით.

წინამდებარე ანგარიშში აღწერილი შემთხვევები გააზრებული უნდა იქნეს იმ მსუსხავი ეფექტის პერსპექტივიდანაც, რაც მათ წულუკიანის დანიშვნის შემდეგ დროის მოკლე პერიოდში ჰქონდათ. ეს შემთხვევები გაფრთხილებაა სხვებისთვის, რომ საკუთარი აზრის გამოთქმა სახიფათოა; ეს კი აიძულებს მათ, გაჩუმდნენ და გამოხატონ ლოიალობა, თუ კულტურის სფეროში საკუთარი ძვირფასი საქმის გაგრძელება და გაფართოება სურთ. ერთობლიობაში, ეს შემთხვევები ასახავს ხელისუფლების განზრახვას, გააკონტროლოს კულტურული ცხოვრება და გამოხატვის თავისუფლება საქართველოში.

კულტურული უფლებები ადამიანებს აძლევს შესაძლებლობას, განივითარონ და გამოხატონ თავიანთი ჰუმანურობა და იპოვონ არსებობის საზრისი თავიანთი „მრწამსის, შეხედულებების, ენის, ცოდნისა და შემოქმედების, ინსტიტუტებისა და ცხოვრების სტილის“ მეშვეობით.[18] როგორც გაერო-ს კულტურული უფლებების სფეროში ყოფილმა სპეციალურმა მომხსენებელმა, კარიმა ბენუნიმ, თქვა, ეს უფლებები „ადამიანური ღირსების გამოხატულებას და მის წინაპირობას“ წარმოადგენს.[19]

ადამიანებს, მათი პოლიტიკური მოსაზრებებისა თუ ლოიალობის განურჩევლად, მხოლოდ ისეთ გარემოში შეუძლიათ კულტურულ ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობა და კულტურის შექმნა, სადაც გამოხატვის თავისუფლებას პატივს სცემენ. როდესაც მთავრობა სისტემატურად ცდილობს, განიმტკიცოს კონტროლი კულტურის სფეროზე, რათა ზეგავლენა მოახდინოს მწერლების, მხატვრების და კულტურის სხვა მოღვაწეების საქმიანობაზე, ის ქმნის ისეთ პოლიტიკურ სისტემას, რომელიც უარყოფს ადამიანების საერთო ჰუმანურობის და ღირსების გამოხატვის შესაძლებლობას.

კულტურის დათრგუნვა, ისევე როგორც კულტურის ცნობილი მოღვაწეების და ინსტიტუტების გამოყენება მთავრობის დღის წესრიგის გასაძლიერებლად, ავტორიტარული რეჟიმების მეთოდებია მთელ მსოფლიოში. კულტურის მოღვაწეები დიდი გავლენით სარგებლობენ საზოგადოებაში და მათ მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ ღია და დემოკრატიული კულტურის ფორმირებაში. ამიტომ, თვალი არ უნდა დავხუჭოთ იმაზე,

---

[18] გაერო-ს სპეციალური მომხსენებელი კულტურული უფლებების საკითხებში, „უნივერსალურობა, კულტურული მრავალფეროვნება და კულტურული უფლებები,“ A/73/227, 25 ივლისი, 2018, ohchr.org/en/stories/2018/10/universality-cultural-diversity-and-cultural-rights.

[19] გაერო-ს სპეციალური მომხსენებელი კულტურული უფლებების საკითხებში, „უნივერსალურობა, კულტურული მრავალფეროვნება და კულტურული უფლებები,“ A/73/227, 25 ივლისი, 2018, ohchr.org/en/stories/2018/10/universality-cultural-diversity-and-cultural-rights.

თუ როგორ დევნიან და ავიწროებენ მთავრობები დამოუკიდებელ აზროვნებას, რომელიც საზოგადოებებს განსხვავებული მომავლის წარმოდგენის შესაძლებლობას აძლევს. როდესაც კულტურის სივრცეებში მხოლოდ ისინი არიან წარმოდგენილნი, ვინც ხელისუფლების ხაზს აძლიერებს, ამით სიგნალი ეგზავნება განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს, რომ მათ თვითგამოხატვას არ მიესალმებიან და იქმნება თვითცენზურისა და იზოლაციის კულტურა.

ამ ანგარიშში განხილულია საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ კულტურული უფლებების და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევები რამდენიმე დარგის, მათ შორის ლიტერატურის, კინოს, თეატრისა და კულტურის კვლევის მაგალითებზე. მასში გაანალიზებულია ორი შემთხვევა, რომლებიც აჩვენებს, თუ როგორ ესხმის თავს და ასუსტებს კულტურის სამინისტრო დამოუკიდებელ ლიტერატურასა და ხელოვნებას, მათ შორის იმ ადამიანთა მიზანში ამოღებით, რომლებიც ხელისუფლების კრიტიკოსებად მიაჩნია. ანგარიშში დოკუმენტირებულია შემთხვევათა მთელი წყება, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ როგორ იყენებს სამინისტრო პერსონალით დაკომპლექტების, საბიუჯეტო და ორგანიზაციულ საკითხებს იმისთვის, რომ ლაგამი ამოსდოს კულტურის სფეროს დაწესებულებებს საქართველოში. ანგარიშის ბოლოს შემოთავაზებულია რეკომენდაციები საქართველოს ხელისუფლებისა და საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიმართ.

თუ საქართველოს მთავრობა ყურად იღებს ამ ანგარიშში გამოთქმულ შეშფოთებას, ის შეძლებს დაუბრუნოს დამოუკიდებლობა კულტურის დაწესებულებებს. საქართველოს კულტურის მუშაკთა მცდელობა, მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება, პოლიტიკური ოპოზიციის პროტესტი ამ უსამართლობის წინააღმდეგ და საზოგადოების მიერ ხელისუფლების ამ ჩარევის დაგმობა იმის მაჩვენებელია, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელია საქართველოს ხელისუფლების ამ კურსის შეცვლა.

ლიტერატურა

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული „საქართველოს მწერალთა სახლი“ მე-20 საუკუნის ადრეული პერიოდიდან მოყოლებული დღემდე კულტურის ერთ-ერთ გამორჩეულ ინსტიტუტად რჩება ქართველი მწერლებისა და ინტელექტუალებისთვის. თავდაპირველად ის საბჭოთა ტიპის დაწესებულება იყო, სადაც საკუთარი ნაწარმოებების წარდგენა მხოლოდ იმ მწერლებს შეეძლოთ, რომლებიც „მწერალთა კავშირის“ წევრები და ხელისუფლების მომხრენი იყვნენ. 2013 წელს მისი კარი უფრო ფართოდ გაიღო და ის, მართალია, სახელმწიფო დაფინანსებას ისევ იღებს, ღიაა ნებისმიერი მწერლისთვის.[20] მწერალთა სახლი ყოველწლიურად ატარებს კონკურსს „ლიტერა,“ რომელიც 2015 წელს დაარსდა და ლიტერატურის დარგში საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრემიაა.[21]

თბილისში „მწერალთა სახლი“ 2015 წლიდან მასპინძლობს საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ლიტერატურულ კონკურსს.

ფოტო: Hundnase/Wikimedia Commons

2021 წლის ივნისში კულტურის სამინისტრომ შეცვალა საკუთარი პოლიტიკა და მოითხოვა ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილი ნებისმიერი კონკურსის ჟიურიში სამინისტროს წარმომადგენლის შეყვანა და ჟიურის შემადგენლობის დამტკიცება.[22]

საქართველოს პენცენტრმა, ლიტერატურულმა ორგანიზაციამ, რომელიც 70-ზე მეტ ქართველ მწერალს აერთიანებს და საერთაშორისო პენცენტრის წევრია, ეს ცვლილება შეადარა საბჭოთა კავშირის დროს „საკონკურსო ჟიურიში საბჭოთა სახელმწიფოს წარმომადგენლების დანიშვნას, რომლებსაც ევალებოდათ იმ განაცხადების უარყოფა, რომლებიც პარტიის ეთოსს არ შეესაბამებოდა.[23]

---

[20] Maya Jaggi, “Resurrecting the Poets of Tbilisi,” New York Review of Books, 24 ნოემბერი, 2022, nybooks.com/articles/2022/11/24/resurrecting-the-poets-of-tbilisi-maya-jaggi/; Nadia Beard, “Repression regains a foothold at the Writer’s House in Tbilisi,” Financial Times, 20 სექტემბერი, 2023, ft.com/content/3c9162de-9a22-40de-982e-4a1ac52ce34e; Tara Isabella Burton, “‘We Are in Soviet Times Again’,” City Journal, 2020 წლის ზამთარი, www.city-journal.org/article/we-are-in-soviet-times-again

[21] Tata Shoshiashvili, “Georgia literary competition cancelled after intervention from culture minister,” OC Media, 3 აგვისტო, 2021, oc-media.org/georgia-literary-competition-cancelled-after-intervention-from-culture-minister/

[22] „სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ შექმნილი საკონკურსო კომისია განისაზღვრება 5 წევრით, რომელთაგან ერთ-ერთი სამინისტროს წარმომადგენელია. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა საჭიროებს სამინისტროსთან შეთანხმებას.“ ბრძანება: „საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ კულტურის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების/პროექტების ხელშეწყობის პირობების და დაფინანსების წესის შესახებ“. ბრძანების დანართი: „საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ კულტურის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების/პროექტების ხელშეწყობის პირობები და დაფინანსების წესი,“ 3 ივნისი, 2021, როგორ გამოქვეყნებულია კულტურის სამინისტროს ფეისბუკ ანგარიშზე: /www.facebook.com/MinistryofCultureSportandYouth/posts/pfbid0XAiSx9PoKbUAMAHmHxGi29doebjpexhSDYd5qZ8xbJxC7LbbpW8bt9vfu3uneL8rl; და „ლიტერატურული კონკურსი „ლიტერა“ წელს აღარ ჩატარდება,“ რადიო თავისუფლება, 2 აგვისტო, 2021, radiotavisupleba.ge/a/31389554.html.

[23] Culture ministry unveils new literary competition following 2021 Litera Prize cancellation,” Agenda, 22 ნოემბერი, 2021,agenda.ge/en/news/2021/3688

„ლიტერას“ კონკურსში მონაწილე მწერლები და ჟიურის წევრები ძალიან შეშფოთდნენ, როდესაც შეიტყვეს, რომ მთავრობის წარმომადგენელი ჟიურიში პროსახელისუფლებო პუბლიცისტი, იოსებ ჭუმბურიძე, იქნებოდა. კონკურსზე წარდგენილი 110 წიგნიდან 93 წიგნი ავტორებმა კონკურსიდან პროტესტის ნიშნად გაიწვიეს. ხუთიდან ოთხმა ჟიურის წევრმა, ანუ ყველამ ჭუმბურიძის გარდა, უარი თქვა ჟიურიში მონაწილეობაზე.[24] სამინისტრომ შური პრემიის დაფინანსებაზე უარით იძია.[25]

შედეგად, 2021 წელს მწერალთა სახლს „ლიტერა“ არ ჩაუტარებია. მის ნაცვლად, 2022 წლის თებერვალში, საქართველოს პენცეტრმა უმასპინძლა ალტერნატიულ „ლიტერას,“ რომელიც ქრაუდფანდინგის კამპანიით მოზიდული თანხებისა და ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო დონორების დახმარებით დაფინანსდა.[26] საქართველოს პენცენტრის ყოფილი დირექტორის პაატა შამუგიას თქმით, 72,000 ლარზე მეტი (დაახლოებით 28,000 აშშ დოლარი) შეგროვდა. „მცირე, 1 ლარის (0.38 აშშ დოლარი) ოდენობის თანხაც კი შემოდიოდა. ყველას უნდოდა, მიეღო მონაწილეობა, მათაც კი, ვისაც ბევრის გადახდა არ შეეძლო,“ გვითხრა მან.[27] ალტერნატიული „ლიტერას“ გამარჯვებულებს შორის იყვნენ როსტომ ჩხეიძე, საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო ექსპერტი ლიტერატურის დარგში; ნანა აბულაძე, აიოვას უნივერსიტეტის პრესტიჟული „საერთაშორისო სამწერლო პროგრამის“ 2022 წლის რეზიდენტი;[28] და შოთა იათაშვილი, რომლის პოეზიაც 12 ენაზეა ნათარგმნი.[29]

მიუხედავად იმ სიხარულისა, რომ 2022 წელს საქართველოს პენცეტრმა შეძლო „ლიტერას“ დამოუკიდებელი ალტერნატივის უზრუნველყოფა, შამუგიას ეეჭვება, რომ მის მასპინძლობას ისევ შეძლებენ, რადგან ქრაუდფანდინგის შენარჩუნება რთულია.[30]

2021 წლის ნოემბერში კულტურის სამინისტრომ ახალი ლიტერატურული პრემია, „წლის საუკეთესო,“ დააფუძნა. სამინისტრომ არ გამოაცხადა, ვინ შეაფასებდა ამ პრემიას, რაც სერიოზული ნაკლია, რადგან პრემიის პრესტიჟი და მნიშვნელობა შემფასებელთა ავტორიტეტზეა დამოკიდებული. „არავინ, ლიტერატორებმაც კი არ იციან, ვინ შედიოდა ამ სამთავრობო პრემიის ჟიურიში,“ გვითხრა შამუგიამ.[31]

---

[24] „მწერლების პროტესტის გამო წლევანდელი „ლიტერა“ აღარ ჩატარდება,“ Civil, 3 აგვისტო, 2021, civil.ge/archives/435257

[25] „ტაშფანდურით შექმნეს მწერალთა სახლი, რომელიც მწერალთა კავშირის წევრებს არ უშვებს“ – წულუკიანი,“ NetGazeti, 3 დეკემბერი, 2021, netgazeti.ge/news/579908/

[26] ინტერვიუ საქართველოს პენცენტრის ყოფილ პრეზიდენტთან პაატა შამუგიასთან, 2022 წლის ივლისი; ელექტრონული მიმოწერა ქეთი აბაშიძესთან, „ადამიანთა უფლებათა სახლის ფონდის“ უფროსი მრჩეველთან ადამიანის უფლებათა საკითხებში, 2023 წლის ივნისი.

[27] ინტერვიუ პაატა შამუგიასთან, 2022 წლის ივლისი; საუბარი 2023 წლის 10 აგვისტოს.

[28] ნანა აბულაძის ბიოგრაფია, აიოვას უნივერსიტეტის „საერთაშორისო სამწერლო პროგრამა,“ 2022, iwp.uiowa.edu/writers/nana-abuladze

[29] შოთა იათაშვილის ბიოგრაფია, Literature Across Frontiers, .lit-across-frontiers.org/profiles/shota-iatashvili/; 2022 წლის ალტერნატიული „ლიტერას“ გამარჯვებულების სია: http://arilimag.ge/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90-2021-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90/

[30] ინტერვიუ პაატა შამუგიასთან, 2022 წლის ივლისი.

[31] ინტერვიუ პაატა შამუგიასთან, 2022 წლის ივლისი.

ნატაშა ლომოური სიტყვით გამოდის ღონისძიებაზე „საქართველოს მწერალთა სახლში," რომელსაც ის 2011 წლიდან ხელმძღვანელობდა.

ფოტო მოგვაწოდა ნატაშა ლომოურმა

2023 წლის აგვისტოში სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, მწერალთა სახლის დირექტორ ნატაშა ლომოურთან კონტრაქტი ვადამდე, მის ოფიციალურ ამოწურვამდე სამი თვით ადრე, შეეწყვიტა.[32] ლომოური მწერალთა სახლის დირექტორი 2011 წლიდან იყო.

ლომოურმა ამერიკის პრესცენტრს უთხრა, რომ კონტრაქტის ვადამდელი შეწყვეტის შესახებ მას მხოლოდ ხუთი დღით ადრე, 2 აგვისტოს, აცნობეს ტელეფონით.[33] შემდეგ კულტურის სამინისტრომ თავის ოფიციალურ გვერდზე ფეისბუკში ინფორმაცია გამოაქვეყნა მწერალთა სახლის ახალ დირექტორად ქეთევან დუმბაძის დანიშვნის შესახებ.[34] დუმბაძე პარლამენტის წევრია „ქართული ოცნების" პარტიიდან. მან მხარი დაუჭირა ამ პარტიის მცდელობას, რომელიც ქართული სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივების დაფინანსებაზე „უცხოური გავლენის" წინააღმდეგ ბრძოლისკენ იყო მიმართული.[35] დუმბაძის დანიშვნა, რომელსაც მწერალთა სახლის წევრები მხარს არ უჭერდნენ, მწერალთა სახლმა განცხადების გამოქვეყნებით გააპროტესტა, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ „პირდაპირი დანიშვნის წესით ახალი დირექტორის მოსვლა ორგანიზაციაში, საფრთხეს უქმნის [მწერალთა სახლის] პროექტების თავისუფალ და უცენზურო მართვას."[36]

ადრე ასეთ დანიშვნებს მწერალთა კავშირის საბჭო ამტკიცებდა.[37] იმ პროექტებს შორის, რომლებსაც, როგორც მწერალთა სახლი შიშობს, ცენზურის ან გაუქმების საფრთხე ემუქრება, ლიტერატურული პრემია „ლიტერა" და ასევე, ახლახან გახსნილი „რეპრესირებული მწერლების მუზეუმია" - პროექტი, რომლის მიზანიც საქართველოს ახალგაზრდების ინფორმირებაა იმის შესახებ, თუ როგორ თრგუნავდა საბჭოეთი ქვეყნის მწერლებსა და კულტურის სხვა მოღვაწეებს.[38]

---

[32] „მწერალთა პროტესტის ფონზე მწერალთა სახლის დირექტორად ქართული ოცნების ფრაქციის წევრი დაინიშნა," Civil, 11 აგვისტო, 2023, civil.ge/archives/555501

[33] ინტერვიუ ნატაშა ლომოურთან, 2 ოქტომბერი, 2023.

[34] საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, „საქართველოს მწერალთა სახლს ქეთევან დუმბაძე უხელმძღვანელებს," ფეისბუკი, 10 აგვისტო, 2023, https://www.facebook.com/photo/?fbid=603097975339562&set=a.230957332553630

[35] „ქართულმა ოცნებამ" პირველი მოსმენით მიიღო „უცხოეთის აგენტებზე" ერთი კანონპროექტი," Civil, 3 ივლისი, 2023, civil.ge/archives/529567

[36] განცხადება მწერალთა სახლის ფეიბუკის გვერდიდან, 12 აგვისტო, 2023

[37] ინტერვიუ ნატაშა ლომოურთან, 2 ოქტომბერი, 2023.

[38] ინტერვიუ ნატაშა ლომოურთან, 1 აგვისტო, 2022.

სახვითი ხელოვნება

2023 წლის 4 თებერვალს, საქართველოს ეროვნულ გალერეაში გამოფენის გახსნაზე, მხატვარმა სანდრო სულაბერიძემ საკუთარი ნამუშევარი, ავტოპორტრეტი, ჩამოხსნა და მის ადგილას საღებავით კედელზე დაწერა ფრაზა - „ხელოვნება ცოცხალი და დამოუკიდებელია!“ შინაგან საქმეთა სამინისტრომ იმავე დღეს სისხლის სამართლის გამოძიება დაიწყო სავარაუდო ქურდობის ფაქტზე, „რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.“[39] გამოფენაში მონაწილე სხვა მხატვრებმა სულაბერიძის მხარდამჭერ განცხადებას მოაწერეს ხელი, რომელშიც ხელისუფლების „ანტაგონიზმი და რეპრესიები“ დაგმეს. მისმა მხარდამჭერებმა 12 თებერვალს სოლიდარობის აქცია მოაწყვეს გალერეის წინ.[40] საქართველოს პენცეტრმა განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც სულაბერიძის წინააღმდეგ დაწყებული სისხლის სამართლის გამოძიება დაგმო.[41]



სანდრო სულაბერიძის საპროტესტო პერფორმანსი საქართველოს ეროვნულ გალერეაში.
ფოტო მოგვაწოდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ

იმავე დღეს, მოგვიანებით, პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა აქციაზე პოლიციის ინტენსიურ მობილიზაციაზე გაამახვილა ყურადღება (20 პოლიციის მანქანა იყო აქციაზე მობილიზებული) და გაოცებულმა იკითხა, ნუთუ შესაძლებელია, „მხატვარი ესოდენ საფრთხეს უქმნიდეს სახელმწიფოს?“ ზურაბიშვილმა თქვა, რომ სამინისტროს ეს აგრესიული რეაგირება მას „სხვა ეპოქას“ ახსენებდა, რაც საყოველთაოდ იქნა აღქმული იმ რეპრესიებზე მინიშნებად, რომლებსაც დამოუკიდებელი მხატვრები საბჭოთა რეჟიმის დროს განიცდიდნენ.[42]

---

[39] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), „საია ეხმიანება 2023 წლის 12 თებერვალს სანდრო სულაბერიძის მიერ გამოხატულ პროტესტთან დაკავშირებით დაწყებულ გამოძიებას,“ 13 თებერვალი, 2023, gyla.ge/en/post/saias-ganckhadeba-sandro-sulaberidzis-tsinaaghmdeg-aghdzrul-saqmesa-da-2023-tslis-12-tebervlis-protesttan-dakavshirebit#sthash.TMLWq1xB.dpbs.

[40] „გამოფენის, „ავტოპორტრეტი სარკესთან“, მონაწილეთა ნაწილის განცხადება,“ 11 თებერვალი, 2023, at.ge/2023/02/11/avtoportreti/?fbclid=IwAR0atnfGfnb-7ipVHU_n-tvsiuHEXeS0QXFdGg1QU1p58IXoqPrPzoEQRaw;

[41] ეროვნულ გალერეასთან საპროტესტო აქცია მიმდინარეობს, რადიო თავისუფლება, 12 თებერვალი, 2023.

[42] „საქართველოს პენცენტრის განცხადება,“ 11 თებერვალი, 2023, pencenter.ge/index.php?do=full&id=1993%2F&fs=e&s=cl&fbclid=IwAR0QGwQgVBfpw-e9DM6WGmWRjl7hx0XkidBdjSOf18XvmipXdlAnDp4DMRs

მეორე დღეს, 13 თებერვალს, კულტურის სამინისტროს ინსპექციის სამსახური პრეზიდენტის რეზიდენციაში შევიდა და იქიდან ხუთი ფერწერული ტილო გაიტანა, რის მიზეზადაც ხელოვნების მუზეუმიდან მათი იჯარით გატანის ვადის ამოწურვა დაასახელა. პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ეს ქმედება პოლიტიკურად მოტივირებულ ნაბიჯად შეაფასა და დაგმო.[43] ზურაბიშვილმა, რომელიც არ არის „ქართული ოცნების“ წევრი, საჯაროდ გააკრიტიკა მმართველი პარტია რუსეთთან მზარდი დაახლოების და ომის შიშის გაღვივების გამო.[44]

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ (საია), ადამიანის უფლებათა დამცველმა ერთ-ერთმა წამყვანმა დამოუკიდებელმა ორგანიზაციამ, თავად ჩაატარა სულაბერიძის ქმედებების გამოძიება და ქურდობის დამადასტურებელი ვერანაირი მტკიცებულება ვერ აღმოაჩინა.[45] საიას განცხადებით, სისხლის სამართლის ამ გამოძიების წარმოება „მნიშვნელოვნად აზიანებს ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლებით განმტკიცებულ გარანტიებს“ და ამ გამოძიების მიზანი უფრო ხელოვანებზე ზეწოლა და სხვა პირების გაფრთხილებაა, რომ „გარკვეულ საკითხებზე საკუთარი პოზიციების გამოხატვისგან შეიკავონ თავი.“[46] შინაგან საქმეთა სამინისტრომ სულაბერიძის საქმეზე დაწყებული გამოძიება 14 თებერვალს შეწყვიტა ისე, რომ მისთვის არანაირი ბრალი არ წაუყენებია.[47]

მუზეუმები

2021 წელს კულტურის სამინისტრომ ბრძანებების მთელი წყება გამოსცა მის დაქვემდებარებაში მყოფი დაწესებულებების, მათ შორის საქართველოს ეროვნული მუზეუმის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს რეორგანიზაციის შესახებ. რეორგანიზაცია, სხვა საკითხებს შორის, ითვალისწინებდა 2021 წლის აპრილში საქართველოს ეროვნული მუზეუმის ახალი, ხუთკაციანი დირექტორატის შექმნას, რომელიც უფლებამოსილი იყო, მიეღო გადაწყვეტილებები ნებისმიერ, მათ შორის კვლევასა და სამეცნიერო პროცესებთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლებიც მის ქსელში შემავალ 14 მუზეუმს ეხებოდა. ამ ნაბიჯით გადაწყვეტილების მიღების პროცესი ცენტრალიზებული გახდა, ხოლო მუზეუმებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელების უფლებამოსილება შეიკვეცა.[48]

---

[43] „მხატვარ სანდრო სულაბერიძის წინააღმდეგ გამოძიების დაწყებას პროტესტი მოჰყვა,“ Civil, 13 თებერვალი, 2023, civil.ge/ka/archives/525254.

[44] პრეზიდენტის ადმინისტრაცია კულტურის სამინისტროს ინსპექციის შესვლას „პოლიტიკურ თავდასხმად“ აფასებს, Civil, 13 თებერვალი, 2023, civil.ge/archives/525396.

[45] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), „საია ეხმიანება 2023 წლის 12 თებერვალს სანდრო სულაბერიძის მიერ გამოხატულ პროტესტთან დაკავშირებით დაწყებულ გამოძიებას,“ 13 თებერვალი, 2023, gyla.ge/en/post/saias-ganckhadeba-sandro-sulaberidzis-tsinaaghmdeg-aghdzrul-saqmesa-da-2023-tslis-12-tebervlis-protesttan-dakavshirebit#sthash.TMLWq1xB.dpbs. საქართველოს კანონი ქურდობას განსაზღვრავს როგორც „სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.“

[46] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია), „საია ეხმიანება 2023 წლის 12 თებერვალს სანდრო სულაბერიძის მიერ გამოხატულ პროტესტთან დაკავშირებით დაწყებულ გამოძიებას.“

[47] „შსს-მ მხატვარ სანდრო სულაბერიძის წინააღმდეგ გამოძიება შეწყვიტა,“ Civil, 15 თებერვალი, 2023, civil.ge/archives/525792.

[48] ინტერვიუ ეკა კიკნაძესთან, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ყოფილ მმართველთან, 5 აგვისტო, 2022 და “Fight at the Museum: The Georgian Government Takes on the Arts,” RFE/RL, 9 სექტემბერი, 2022.

ამჟამად ეს დირექტორატი ძირითადად დაკომპლექტებულია იუსტიციის სამინისტროდან, პენიტენციური სისტემიდან და სპორტული დაწესებულებებიდან გადმოყვანილი პირებით, რომელთა უმეტესობას მუზეუმების და კულტურის დაწესებულებების მართვის და ზედამხედველობის არც საკმარისი კვალიფიკაცია და არც გამოცდილება არა აქვს.[49]

გარდა ამისა, 2021 წელს კულტურის სამინისტრომ ახალი ხელმძღვანელები დანიშნა კულტურის სფეროს წამყვან დაწესებულებებში და მათი რეორგანიზაციაც წამოიწყო, რასაც შედეგად საქართველოს ეროვნული მუზეუმის 75 თანამშრომლის და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 80 თანამშრომლის გათავისუფლება მოჰყვა, როგორც ეს გვაცნობა საქართველოს მეცნიერების, განათლებისა და კულტურის მუშაკთა პროფესიულმა კავშირმა, რომელიც გათავისუფლებულ მუშაკთა უმრავლესობის ინტერესებს წარმოადგენს. ეს პროფკავშირი მუზეუმის მუშაკებმა 2022 წლის მაისში

შექმნეს, აგრესიული რეორგანიზაციის მიმდინარეობის და მათი პროექტების საგრანტო დაფინანსებაში ჩარევის დროს.[50]

რეორგანიზაცია შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმით დაიწყო, სადაც, მაგალითად, ეკა კიკნაძე, პერსონალსა და მუზეუმის სარეაბილიტაციო გეგმების მართვაზე პასუხისმგებელი მენეჯერი, ჯერ, 2021 წლის შუა პერიოდში, ლაბორანტად ჩამოაქვეითეს, ხოლო შემდეგ, 2022 წლის იანვარში, როდესაც მუზეუმთა ახალი ჯგუფი შეიქმნა, სამსახურიდან გაათავისუფლეს.[51] რეორგანიზაცია და თანამშრომელთა მასობრივი გათავისუფლება სხვა მუზეუმებსაც შეეხო. მაგალითად, არსებული ინფორმაციის თანახმად, 2022 წლის მაისში, მინიმუმ 40 თანამშრომელი გაათავისუფლეს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმიდან, რომელიც ქვეყნის ისტორიის მუზეუმებს შორის ერთ-ერთი მთავარი დაწესებულებაა.[52]



შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი ერთ-ერთი პირველი მუზეუმი იყო, რომლის „რეორგანიზაციაც" მას შემდეგ დაიწყო, რაც კულტურის სამინისტრომ 2021 წლის აპრილში საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატი შექმნა.

ფოტო: Mostafameraji/Wikimedia Commons

[49] ელექტრონული ფოსტით მიმოწერა ნიკოლოზ წიქარიძესთან, საქართველოს მეცნიერების, განათლებისა და კულტურის მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარესთან, რომელმაც 5 საჯარო პირი დაასახელა.

[50] ელექტრონული ფოსტით მიმოწერა ნიკოლოზ წიქარიძესთან, საქართველოს მეცნიერების, განათლებისა და კულტურის მუშაკთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარესთან, 2023 წლის მარტი და აპრილი; ინტერვიუ ეკა კიკნაძესთან, 5 აგვისტო, 2022; და "Fight at the Museum: The Georgian Government Takes on the Arts," RFE/RL, 9 სექტემბერი, 2022

[51] ინტერვიუ ადვოკატ და საიას წევრ ცირა ჯანანაშვილთან, 11 მაისი, 2023 და „ეროვნულ მუზეუმის დავა კულტურის სამინისტროსთან სამეცნიერო პროექტებზე გამოყოფილ გრანტებზე," Civil, 12 თებერვალი, 2022, civil.ge/archives/472408.

[52] ელექტრონული ფოსტით მიმოწერა ნიკოლოზ წიქარიძესთან, 2023 წლის მარტი და აპრილი.

მუზეუმის თანამშრომელთა გათავისუფლება ერთი კონკრეტული სქემით ხდებოდა.[53] კომისია, რომელიც დაკომპლექტდა კულტურის სამინისტროს მიერ შერჩეული ადამიანებით, მათ შორის იუსტიციის სამინისტროს ყოფილი თანამშრომლებით, რომლებსაც ხელოვნების დარგში მუშაობის არანაირი წინა გამოცდილება არ ჰქონიათ, ხანმოკლე გასაუბრებებს ატარებდა მუზეუმის თითოეულ თანამშრომელთან, თითქოსდა, დაკავებულ თანამდებობებთან მათი კვალიფიკაციის შესაბამისობის შესაფასებლად.[54] თუმცა, როგორც გათავისუფლებული თანამშრომლები და მათი ადვოკატები ამბობენ, ამ გასაუბრებებზე მათ კითხვებს არც მათი უნარების და არც პროფესიული გამოცდილების შესახებ არ უსვამდნენ. სამაგიეროდ, ეკითხებოდნენ, უჭერდნენ თუ არა ისინი მხარს კულტურის სამინისტროს გეგმებს, ჰქონდათ თუ არა მათ კავშირები ოპოზიციონერ პოლიტიკოსებთან ან ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, გაუკრიტიკებიათ თუ არა საჯაროდ სამინისტრო ან ხელისუფლება სოციალურ მედიაში და უჭერდნენ თუ არა მხარს პეტიციას, რომელიც ერთ-ერთ მუზეუმთან დაკავშირებული სამინისტროს გეგმის საწინააღმდეგოდ შეიქმნა.[55]

გათავისუფლებული თანამშრომლების თქმით, ამ ეგრეთ წოდებული შეფასებების ტონი ხშირად აგრესიული იყო. მუზეუმის ერთმა თანამშრომელმა პენცენტრთან საუბრისას ეს გამოცდილება „გამოსასწორებელ კოლონიაში“ დაკითხვას შეადარა.[56] გათავისუფლებულთა ადვოკატების თქმით, ბევრმა მათგანმა, ვინც ეს გასაუბრება გამოიარა, „დამცირებულად“ და „ძალიან შეურაცხყოფილად“ იგრძნო თავი იმ პროცესით, რომელშიც მათ კვალიფიკაციას აფასებდნენ ადამიანები, რომლებსაც, მათი აზრით, ძალიან მცირე ან არანაირი შესაბამისი ცოდნა არ გააჩნდათ.[57]

გასაუბრების ხასიათიდან გამომდინარე თითქმის ყველა თანამშრომელს ჰქონდა განცდა, რომ მათ სამაგიეროს უხდიდნენ იმისთვის, რომ კულტურის სამინისტროს ქმედებები, მათ შორის რეორგანიზაციის დაწყების შემდეგ რეორგანიზაციის პროცესი გააკრიტიკეს.[58] მაგალითად, ეკა კიკნაძე ღიად აკრიტიკებდა სამინისტროს სამომავლო გეგმას შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმთან დაკავშირებით. მან მონაწილეობა მიიღო პეტიციის შედგენაში, რომელშიც მიმდინარე ქმედებების თაობაზე შეშფოთება იყო გამოხატული, ასევე, შეაგროვა ხელმოწერები და ეს პეტიცია პარლამენტში გააგზავნა სანამ მას ჩამოაქვეითებდნენ და გაათავისუფლებდნენ.[59]

---

[53] ინტერვიუ სალომე შუბლაძესთან, ადვოკატი სოციალური სამართლიანობის ცენტრიდან, 3 აპრილი, 2023, და ლეილა ხათიძესთან და თათია კიკნაძესთან, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, 12 აპრილი, 2023.

[54] ინტერვიუები ეკა კიკნაძესთან, 5 აგვისტო, 2022, და ლეილა ხათიძესთან და თათია კიკნაძესთან, 12 აპრილი, 2023.

[55] ინტერვიუები ეკა კიკნაძესთან, 5 აგვისტო, 2022; სალომე შუბლაძესთან, 3 აპრილი, 2023; და ლეილა ხათიძესთან და თათია კიკნაძესთან, 12 აპრილი, 2023. ხელოვნების მუზეუმის მხარდამჭერი აქციის მონაწილეთა განცხადება საქართველოს პარლამენტს და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე Manifest.ge, petition.

[56] ინტერვიუ ეკა კიკნაძესთან, 5 აგვისტო, 2022

[57] ინტერვიუ ლეილა ხათიძესთან და თათია კიკნაძესთან, 12 აპრილი, 2023.

[58] ინტერვიუები ეკა კიკნაძესთან, 5 აგვისტო, 2022; სალომე შუბლაძესთან, 3 აპრილი, 2023; და ლეილა ხათიძესთან და თათია კიკნაძესთან, 12 აპრილი, 2023; ელექტრონული ფოსტით მიმოწერა ნიკოლოზ წიქარიძესთან, 2023 წლის მარტი და აპრილი, და „პროფკავშირების ცნობით, ეროვნული მუზეუმის სისტემიდან კიდევ 40-მდე თანამშრომელი გაათავისუფლეს,“ Civil, 5 მაისი, 2022, civil.ge/archives/492518.

[59] ინტერვიუები ეკა კიკნაძესთან, 5 აგვისტო, 2022, და ცირა ჯანანაშვილთან, 11 მაისი 2023.

ეკა კიკნაძე (მარჯვნიდან მესამე) ამოწმებს ფერწერულ ტილოს შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის რეაბილიტაციაზე პასუხისმგებელი მენეჯერის რანგში.

ფოტო მოგვაწოდა ეკა კიკნაძემ

2022 წლის სექტემბერში, რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლებასთან ინტერვიუში, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარემ ნიკოლოზ წიქარიძემ თქვა: „ვინ იცის, რა იყო ჩემი გათავისუფლების ნამდვილი მიზეზი. ჩემი გასაუბრების შემდეგ ქულა არ დამიწერს და ჯერ კიდევ არ გადმოუციათ დოკუმენტები, რომლებშიც ახსნილი იქნება, რა კრიტერიუმების საფუძველზე გამათავისუფლეს.“[60] ლელა ხათრიძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ წარმომადგენელი, რომელიც ეროვნული კულტურის დაწესებულებების 31 ყოფილი თანამშრომლის ინტერესებს იცავს, მივიდა დასკვნამდე, რომ „რეორგანიზაცია პოლიტიკური ინსტრუმენტი იყო არასასურველი თანამშრომლების გასათავისუფლებლად.“[61]

ბევრი გათავისუფლებული თანამშრომელი კულტურის სამინისტროს სასამართლოში უჩივის უსამართლოდ გათავისუფლების გამო. რამდენიმემ სასამართლო დავა მოიგო და გაცდენილი დროის ხელფასი და/ან კომპენსაცია მიიღო, თუმცა ისინი არ აღუდგენიათ მათ პოზიციებზე, რომლებსაც ახლა სხვები იკავებენ.[62] ბევრი საქმე ჯერ ისევ პირველი ინსტანციის ან სააპელაციო სასამართლოში განხილვის პროცესშია.[63] 2023 წლის მაისში თბილისის საქალაქო სასამართლომ ეკა კიკნაძის დაქვეითება უკანონოდ ცნო და კულტურის სამინისტროს მისთვის 5,000 ლარის (1,920 აშშ დოლარი) კომპენსაციის გადახდა დააკისრა.[64]

საქართველოს კულტურის წამყვანი დაწესებულებებიდან გათავისუფლებულთაგან ბევრი მენეჯერი და განყოფილების უფროსი იყო, მათ შორის ცნობილი და ავტორიტეტული მკვლევრები, მეცნიერები და შესაბამისი დარგების სპეციალისტები. მთავარი მკვლევრები და საკვანძო პერსონალიც კი გაათავისუფლეს.[65] ამ გათავისუფლებების შედეგები აუცილებლად

---

[60] “Fight at the Museum: The Georgian Government Takes on the Arts,” RFE/RL, 9 სექტემბერი, 2022, rferl.org/a/georgia-museum-government-cultural-attack/32026232.html.

[61] ინტერვიუები ეკა კიკნაძესთან, 5 აგვისტო, 2022; სალომე შუბლაძესთან, 3 აპრილი, 2023; და ლეილა ხათიძესთან და თათია კიკნაძესთან, 12 აპრილი, 2023; საუბარი 2023 წლის 10 აგვისტოს მდგომარეობით.

[62] გამარჯვებულთა შორის არიან: გუგა გოგაძე, დინარა ვაჩნაძე, ზურაბ ბერუკაშვილი, ირმა მანაგაძე, ნანა ბუაძე, გიორგი ჯამბურია, ეკა კიკნაძე, ლიკა მამაცაშვილი, ნათია ქურხული. ელექტრონული ფოსტით მიმოწერა ნიკოლოზ წიქარიძესთან, 2023 წლის ივნისი.

[63] ინტერვიუები სალომე შუბლაძესთან, 3 აპრილი, 2023; ლეილა ხათიძესთან და თათია კიკნაძესთან, 12 აპრილი, 2023; და ცირა ჯანანაშვილთან, 11 მაისი 2023.

[64] „სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ეროვნული მუზეუმის ყოფილი თანამშრომლის სარჩელი,“ Civil, 30 მაისი, 2023, civil.ge/archives/545378. საუბარი 2023 წლის 10 აგვისტოს მდგომარეობით.

[65] ინტერვიუ ეკა კიკნაძესთან, 5 აგვისტო, 2022; და ელექტრონული ფოსტით მიმოწერა ნიკოლოზ წიქარიძესთან, 2023 წლის მარტი და აპრილი. ზოგ შემთხვევაში ქვედა დონის თანამშრომლებიც გაათავისუფლეს. ინტერვიუები ეკა კიკნაძესთან, 5 აგვისტო, 2022, და სალომე შუბლაძესთან, 3 აპრილი, 2023.

დატოვებს ხანგრძლივ, უარყოფით კვალს საქართველოში კულტურის განვითარებაზე, გამოხატვასა და დაცვაზე. როგორც რამდენიმე გათავისუფლებული თანამშრომლის ინტერესების დამცველი სამი ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის ერთობლივ განცხადებაშია ნათქვამი, „ამ მასშტაბით კვალიფიციური პროფესიონალების თანამდებობიდან გათავისუფლება აუხსნელი და კულტურის სფეროსთვის მნიშვნელოვანი ზიანის მომტანი გადაწყვეტილებაა.“[66]

კულტურის ბევრი გათავისუფლებული მუშაკი, არსებული ინფორმაციით, კვლავ უმუშევარია, უფრო იმის გამო, რომ ასეთი ვიწრო სპეციალიზაციის მქონე ადამიანებისთვის ახალი დასაქმების შესაძლებლობები მცირეა.[67]

ხელოვნების მუზეუმის მმართველის თანამდებობიდან მისი გათავისუფლების შესახებ ეკა კიკნაძემ თქვა: „მჯერა, რომ ერთ დღეს ჩემი უფლებები და ყველა იმ ადამიანის უფლებები, რომლებიც ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში ამ მთავრობამ უსამართლოდ გაათავისუფლა, აღდგება. თუმცა, ის ზიანი, რაც საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას მიადგა, შესაძლოა აუნაზღაურებელი იყოს.“[68]

ხელისუფლების ჩარევა კულტურის დარგში კვლევითი პროექტების საგრანტო დაფინანსებაში

2022 წლის თებერვალში კულტურის სამინისტრომ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც მისი დირექტორატი გადაიბარებდა კონტროლს საგრანტო განაცხადების წარდგენისა და იმ გრანტების განხორციელების პროცესზე, რომლებიც მუზეუმებში პროექტებს ენიჭება.[69]

---

[66] ინტერვიუები სალომე შუბლაძესთან, 3 აპრილი, 2023; ლეილა ხათიძესთან და თათია კიკნაძესთან, 12 აპრილი, 2023, და „წულუკიანის მიერ კულტურის სფეროში ჩატარებული საკადრო წმენდის შედეგად გათავისუფლებულთა ინტერესებს სოციალური სამართლიანობის ცენტრი, საია და ISFED დაიცავს,“ სოციალური სამართლიანობის ცენტრი (საქართველო), 31 იანვარი, 2022, socialjustice.org.ge/ka/products/tsulukianis-mier-kulturis-sferoshi-chatarebuli-sakadro-tsmendis-shedegad-gatavisuflebulta-interesebs-sotsialuri-samartlianobis-tsentri-saia-da-isfed-daitsavs. იხილეთ, ასევე, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „წულუკიანის საკადრო წმენდის შედეგად გათავისუფლებულმა თანამშრომელმა სასამართლო დავა მოიგო,“ სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 9 აგვისტო, 2022, socialjustice.org.ge/ka/products/tsulukianis-sakadro-tsmendis-shedegad-gatavisuflebulma-tanamshromelma-sasamartlo-dava-moigo.

[67] ინტერვიუ სალომე შუბლაძესთან, 3 აპრილი, 2023.

[68] ინტერვიუ ეკა კიკნაძესთან, 5 აგვისტო, 2022.

[69] „იღებს გადაწყვეტილებას ეროვნული მუზეუმისა და მის მუზეუმთა გაერთიანებაში შემავალი მუზეუმების/მუზეუმთა ჯგუფების მიერ გრანტის გამცემისადმი (დონორისადმი) მიმართვის, გრანტის თანხის გამოთხოვის/ჩარიცხვის ან გრანტის განკარგვასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ.“ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული მუზეუმის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 18 ივნისის №110/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, 1 თებერვალი, 2022, matsne.gov.ge/ka/document/view/5373762?publication=0&fbclid=IwAR35C9uzOyhMVi_n-F3tO8Bf1qOm8d7_T4KGsIiH1rKVdV1HfwskBZbDeAE.

ამ ნაბიჯით კულტურის სამინისტრომ მუზეუმის მუშაკებსა და მკვლევრებს შეუზღუდა იმ დაფინანსების წვდომის და გამოყენების შესაძლებლობა, რასაც გასცემდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი - განათლების სამინისტროს დაქვემდებარებული უწყება და კულტურის სფეროში კვლევების დაფინანსების ერთადერთი მთავარი წყარო, რომელსაც კულტურის სამინისტროს არ აკონტროლებდა.[70]

დირექტორმა ეს ბრძანება რეტროაქტიურად გაავრცელა და 13 გრანტი დაბლოკა, რომლებიც 2021 წლის მარტში ჰქონდა საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს კანონის შესაბამისად განხილული, ხოლო ფონდს დამტკიცებული. დირექტორატმა ეს პროცესი უგულებელყო და მოითხოვა, რომ ეს გრანტები მის სამეცნიერო საბჭოს განეხილა.[71]

„მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, დაწესებულების სამეცნიერო საბჭო, რომლის ფუნქციებში გრანტების დამტკიცებაც შედის, დაწესებულების მეცნიერი თანამშრომლებისგან შედგება.[72] კულტურის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარის ნიკოლოზ წიქარიძის თქმით, კულტურის სამინისტროს ბრძანებამ არა მარტო აკადემიური თავისუფლება შეზღუდა, არამედ კანონმდებლობაც უგულებელყო, როდესაც ეროვნული მუზეუმის საბჭოში სამეცნიერო გამოცდილების არმქონე ადამიანები შეიყვანა.[73] წიქარიძე იხსენებს, რომ დირექტორატის სამეცნიერო საბჭოსთან მოლაპარაკებების შედეგად მკვლევრებმა იმ 13 დამტკიცებული გრანტიდან 12-ის აღდგენა შეძლეს; ერთადერთი გრანტი, რომელიც არ აღადგინეს, მინიჭებული ჰქონდა ხელოვნების მუზეუმის სამ წამყვან თანამშრომელს, რომლებიც სამსახურიდან იყვნენ გათავისუფლებული.[74]

თუმცა, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ინფორმაციით, აღდგენილი გრანტების შემთხვევაშიც კი სამინისტრო ხელს უშლიდა კვლევის ჩატარებას - უარს ეუბნებოდა გათავისუფლებულ თანამშრომლებს სამუზეუმო კოლექციებთან წვდომაზე, შენობების გამოყენებასა და გრანტის ფარგლებში საველე სამუშაოების ჩასატარებლად სახსრების გამოყოფაზე, რითაც არღვევდა იმ შეთანხმების პირობებს, რომელიც საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატს, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირსა და პროექტის ძირითად პერსონალს შორის იქნა მიღწეული. ამ ანგარიშის წერის მომენტისთვის, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ინფორმაციით, კვლევითი და არქეოლოგიური პროექტების საველე სამუშაოების უმეტესობა ან გაყინულია, ან გვიანდება. მკვლევრების წერილებს დირექტორატი ან არ პასუხობს, ან დიდ დროს ანდომებს პასუხის გაცემას. ანალოგიურ კედელს აწყდება პროფკავშირიც.[75]

---

[70] ინტერვიუ ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის დირექტორ ნინო ევგენიძესთან, თბილისი, 2023 წლის მარტი. საგრანტო დაფინანსებასა და გათავისუფლებულ კულტურის მუშაკთა შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ „ომბუდსმენმა ეროვნული მუზეუმის ყოფილი თანამშრომლების მიმართ დისკრიმინაცია დაადგინა," Civil, 27 ოქტომბერი, 2022, civil.ge/archives/513084, და „ეროვნულ მუზეუმის დავა კულტურის სამინისტროსთან სამეცნიერო პროექტებზე გამოყოფილ გრანტებზე," Civil, 12 თებერვალი, 2022, civil.ge/archives/472408.

[72] ელექტრონული ფოსტით მიმოწერა ნიკოლოზ წიქარიძესთან, 2023 წლის მარტი და აპრილი; „ეროვნულ მუზეუმის დავა კულტურის სამინისტროსთან სამეცნიერო პროექტებზე გამოყოფილ გრანტებზე," Civil, 12 თებერვალი, 2022.

[73] საქართველოს კანონი „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ," მხული 10.2.1, faolex.fao.org/docs/pdf/geo181479ENG.pdf.

[74] იქვე

[75] იქვე

საქართველოს ეროვნული მუზეუმის წინ მუზეუმის მუშაკები აპროტესტებენ კულტურის სამინისტროს ქმედებებს, მათ შორის მუზეუმის მუშაკებისა და სპეციალისტების გათავისუფლების რამდენიმე ტალღას.

ფოტო: RFE/RL, მოგვაწოდა ნიკოლოზ წიქარიძემ

ამ დირექტორატის არსებობის პირობებში სავსებით შესაძლებელია, რომ მომდევნო პროექტებიც ასეთივე ზეწოლის და სამთავრობო კონტროლის ქვეშ აღმოჩნდეს.

წიქარიძემ შეშფოთება გამოხატა და გვითხრა: „ძალიან გვაშფოთებს ჩვენ დარგში მიმდინარე მოვლენები; კოლაფსის პირასაა ჩვენი კვლევითი პროექტები, საერთაშორისო სამეცნიერო ქსელი და ფუნქციონალური სისტემა კულტურის სფეროსა და მომიჯნავე მეცნიერებებში... ჩვენ ვიბრძვით და ვცდილობთ, გადავარჩინოთ ის, რაც დარჩა.“[76]

მსგავს დასკვნამდე მივიდა სალომე შუბლაძე, კიდევ ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის, სოციალური სამართლიანობის ცენტრის, წარმომადგენელი, რომელიც კულტურის ცხრა გათავისუფლებული მუშაკის ინტერესებს იცავს: „[გრანტებით მანიპულირების] შედეგი კულტურის მუშაკთა სრულად მოწყვეტა იყო მათი საქმიანობისგან,“ გვითხრა მან.[77]

გრანტებზე კონტროლი დირექტორატმა შესაძლოა იმისთვისაც გამოიყენოს, რომ შეზღუდოს გრანტების გაცემა საქართველოში უცხო ქვეყნების საელჩოების მიერ,

რომლებიც კულტურის სფეროში პროექტების მხარდაჭერით არიან დაინტერესებული, გვითხრა ნინო ევგენიძემ, თბილისში მოქმედი ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა.[78]

[76] იქვე.

[77] ინტერვიუ სალომე შუბლაძესთან, 3 აპრილი, 2023.

[78] ინტერვიუ ნინო ევგნიძესთან, მარტი, 2023

გაგა ჩხეიძე საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი 2022 წლის მარტის შუა რიცხვებამდე იყო, როდესაც ის ფეისბუკ პოსტებში საქართველოს მთავრობის გაკრიტიკების შემდეგ გაათავისუფლეს.

ფოტო: მზია საგანელიძე RFE/RL-სთვის

კინემატოგრაფია

2022 წლის შუა პერიოდში კულტურის სამინისტრომ თანამდებობიდან გაათავისუფლა გაგა ჩხეიძე, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი, ანუ იმ სახელმწიფო უწყებისა, რომლის ფუნქციაც ეროვნული კინოწარმოების ხელშეწყობა და დაფინანსებაა. ეს გათავისუფლება კულტურის მნიშვნელოვანი ეროვნული ინსტიტუტის წინააღმდეგ გადადგმულ პოლიტიკურად მოტივირებულ ნაბიჯად შეფასდა. ჩხეიძის გათავისუფლების ოფიციალურ მიზეზად კინოცენტრში ჩატარებული აუდიტის შედეგად აღმოჩენილი სავარაუდო დარღვევები დასახელდა.[79]

ჩხეიძე ასაჩივრებს აუდიტის დასკვნას, რომელიც 2021 წლის მარტში იქნა დაკვეთილი და 2022 წლის მარტში დასრულდა. ჩხეიძის ადვოკატის თანახმად, კულტურის სამინისტრომ აუდიტის დასკვნა პროკურატურას გადაუგზავნა, თუმცა პროკურატურამ უარი თქვა მის წინააღმდეგ რაიმე ქმედების დაწყებაზე.[80] ჩხეიძე ფიქრობს, რომ მისი გათავისუფლება ფეისბუკზე 2022 წლის მარტში დაწერილ მის პოსტებს უკავშირდება, რომლებშიც მან ხელისუფლება გააკრიტიკა. ერთ-ერთ პოსტში მან კითხვა დასვა, თუ რატომ არ დაგმო საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის მიერ კულტურული მემკვიდრეობის განადგურება უკრაინის წინააღმდეგ წარმოებულ ომში. მეორეში მან კულტურის სამინისტროს მოუწოდა, რომ უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის პასუხად შეეჩერებინა კონტრაქტი რუსეთის სახელმწიფო კინოარქივიდან ფილმების შესყიდვაზე.[81]

---

[79] ინტერვიუ გაგა ჩხეიძესთან, 5 აგვისტო, 2022.

[80] ელექტრონული ფოსტით მიმოწერა ლელა ხათრიძესთან, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, 2023 წლის ივლისი.

[81] ინტერვიუ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორ გაგა ჩხეიძესთან,5 აგვისტო, 2022; და Vladan Petkovic, "Former Georgian film center director speaks out after dismissal (exclusive)," ScreenDaily (UK), 6 აპრილი, 2022, screendaily.com/news/former-georgian-film-centre-director-speaks-out-after-dismissal-exclusive/5169384.article; და „სადამსჯელო ოპერაცია: კულტურის მინისტრმა ეროვნული კინოცენტრის დირექტორი მოხსნა," Civil, 17 მარტი, 2022, civil.ge/archives/479669.

დემონსტრანტები აპროტესტებენ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრში კულტურის სამინისტროს მიერ განხორციელებულ ცვლილებებს, რომლებმაც კინოცენტრის დამოუკიდებლობას საფრთხე შეუქმნა.

ფოტო: თამუნა ჩქარეული RFE/RL-სთვის

საპროტესტო აქციის მონაწილეებს უჭირავთ ტრანსპარანტი, რომელზეც წერია - „არა ცენზურას! დამოუკიდებლობა კინოცენტრს!"

ფოტო მოგვაწოდა ნიკოლოზ წიქარიძემ.

ჩხეიძემ ასევე თქვა, რომ მინისტრად წულუკიანის დანიშვნის შემდეგ კულტურის სამინისტრო თვეების განმავლობაში ერეოდა კინოცენტრის საქმიანობაში და მისი, როგორც დირექტორის, ფუნქციებში. მაგალითად, სამინისტრომ მოსთხოვა გაგა ჩხეიძეს, შეეთანხმებინა მისი ნებისმიერი სატელევიზიო გამოსვლა სამინისტროსთან, შემდეგ კი ტელეგადაცემებში მისი სტუმრობა რამდენჯერმე დაბლოკა. ჩხეიძე ასევე აცხადებს, რომ სამინისტრო ცდილობდა მის იძულებას, პრიზი სამინისტროსთვის სასურველი ფილმისთვის მიენიჭებინა და არ მიეცა დამოუკიდებელი ჟიურისთვის საშუალება, გამარჯვებული შეერჩია.[82]

2023 წლის 5 ივნისს კინოცენტრის თანამშრომლებმა ღია წერილი გამოაქვეყნეს ცენტრის ვებგვერდზე, რომელშიც მოითხოვდნენ, რომ ცენტრს დამოუკიდებლად ფუნქციონირების საშუალება მისცემოდა. ეს წერილი ვებგვერდიდან მალევე გაქრა. შემდეგ თანამშრომლებმა კრიტიკული განცხადება სოციალურ მედიაში გამოაქვეყნეს. რამდენიმე დღეში, 11 ივნისს, სამინისტრომ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის სრული რეორგანიზაცია გამოაცხადა და დირექტორის ახალ შემსრულებლად კობა ხუბუნია დანიშნა, რომელიც წულუკიანის იუსტიციის მინისტრობის დროს ამ სამინისტროს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე იყო. ხუბუნიამ კინოცენტრის დირექტორის ყველა მოადგილე გაათავისუფლა და კინოწარმოების დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ ანტიდასავლური სატელევიზიო არხის PosTV-ის წამყვანი, ბაჩო ოდიშარია, დანიშნა. დანიშვნის შემდეგ ოდიშარიამ განაცხადა: „გავიგებ, ვის რა პრობლემები აქვს, ვის რა აწუხებს, ვეცდები ამის გამოსწორებას. მაგასაც გავარკვევ, რატომ არის ეს პროტესტის საგანი."[83]

[82] ინტერვიუ გაგა ჩხეიძესთან, 5 აგვისტო, 2022, და „გაგა ჩხეიძე: თუ კულტურის მინისტრი არ გააუქმებს ჩემი გათავისუფლების ბრძანებას, გავასაჩივრებ," რადიო თავისუფლება, 17 მარტი, 2022, radiotavisupleba.ge/a/31758209.html

[83] ბაჩო ოდიშარია ადასტურებს, რომ კინოცენტრში დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ დაინიშნა, NetGazeti, 13 ივნისი, 2023, netgazeti.ge/news/674628/; და „ეროვნული კინოცენტრი კულტურის მინისტრის სამიზნე გახდა?" Civil, 15 ივნისი, 2023, civil.ge/archives/548248.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის წინააღმდეგ მიმართულ ამ ქმედებებს მკაცრად გმობდნენ ცენტრის თანამშრომლები და სამოქალაქო საზოგადოება. ივნისის შუა რიცხვებში კინოცენტრის თანამშრომლებმა კიდევ ერთი წერილი გამოაქვეყნეს, რომელშიც მოითხოვდნენ რეორგანიზაციის შეწყვეტას მანამ, სანამ კინოინდუსტრიის პროფესიონალებით დაკომპლექტებული კომისია არ შეარჩევდა ახალ დირექტორს სამართლიანი, გამჭვირვალე და კონკურენტული პროცესის მეშვეობით. ამ წერილს ქართული კინოინდუსტრიის წარმომადგენლებმაც მოაწერეს ხელი.[84] კინოცენტრის დამოუკიდებლობის მხარდასაჭერად 60-მა მწერალმა სოლიდარობის წერილი გამოაქვეყნა.[85] ადამიანის უფლებათა დამცველმა უამრავმა დამოუკიდებელმა ქართულმა თუ საერთაშორისო ორგანიზაციამ ხელი მოაწერა წერილს, რომლითაც დაგმო გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა საქართველოში.[86]

სალომე ჯაშის პრიზიორი დოკუმენტური ფილმი „მოთვინიერება." ამ ფილმის ჩვენება საქართველოს კინოაკადემიამ გააუქმა.

ფოტო: სილია სტრუმი

დოკუმენტური ფილმი „მოთვინიერების" ჩვენების გაუქმება

ჩხეიძის გათავისუფლების შემდეგ კინოცენტრის ახალმა, კულტურის სამინისტროს მიერ დანიშნულმა დირექტორმა ცნობილი ქართველი კინორეჟისორი სალომე ჯაშის პრიზიორი დოკუმენტური ფილმის „მოთვინიერება" ექვსი ჩვენება გააუქმა, რომლებიც 2022 წლის გაზაფხულზე იყო დაგეგმილი.[87] ამ ფილმის პრემიერა 2021 წელს სანდენსის კინოფესტივალზე შედგა, შემდეგ კი მსოფლიოს სხვადასხვა კინოფესტივალზე იქნა ნაჩვენები.[88]

[84] „00 ქართველი კინემატოგრაფისტი ეროვნულ კინოცენტრს ბოიკოტს უცხადებს," Civil.ge, 15 ივნისი, 2023, https://civil.ge/archives/556457; 400-ზე მეტი ხელმომწერის სია, https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSc8QZ18l5YkLGE-zC88DJLxJaSojFw5iu6CkkT0pn8gSUhq8Q/viewform.

[85] „მწერლების, მთარგმნელებისა და გამომცემლების წერილი: მხარს ვუჭერთ კინოს პროფესიონალებს," JAM News, 16 ივნისი, 2023, https://jam-news.net/ge/kinos-mkhardamcheri-werili/.

[86] „NGO-ები: დაუშვებელია კულტურული და სახელოვნებო სექტორის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა," Formula News, 21 ივნისი, 2023, https://formulanews.ge/News/92831.

[87] "Salomé Jashi: Awards," IMDB, imdb.com/name/nm4480391/awards/?ref_=nm_awd.; "Taming the Garden: You Haven't Seen It All," Civil, 24 მაისი, 2022, civil.ge/archives/491900

[88] "Taming the Garden: News," tamingthegarden-film.com/en/news/.

ის მოგვითხრობს ერთ ძლევამოსილ ადამიანზე, რომლის დაკვეთითაც საუკუნოვან ხეებს ფესვებიანად თხრიან და მის კერძო ბაღში რგავენ. მაყურებელს აცნობენ რომ ეს კაცი ივანიშვილია, თუმცა ფილმში მასზე აქცენტი არ არის გაკეთებული.[89]

გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს ყოფილმა პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, 2016 წლიდან მოყოლებული, 200-ზე მეტი ხე გადაარგვევინა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იმ საზოგადოებრივ ბაღში, რომელიც სამხრეთ საქართველოში, ქალაქ ბათუმთან ახლოს, შავი ზღვის პირას არის გაშენებული, მიუხედავად ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ გამოთქმული შეშფოთებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების იმ რაიონებში შეფერხებებისა, სადაც ხეების ფესვებიანად ამოთხრა და მათი ტრანსპორტირება ხდებოდა.[90]

მედიასთან ინტერვიუში სალომე ჯაში იხსენებს, თუ როგორ შეიტყო ჩვენების გაუქმების შესახებ. „[კინოცენტრის ახალმა დირექტორმა] მითხრა, რომ ეს ფილმი „საზოგადოებას პოლიტიკური ნიშნით ყოფს.“ ეს აღმაშფოთებელი არგუმენტია, რადგან სრულიად ნორმალურია, როდესაც ხელოვნების თუ კულტურის ნამუშევარი აზრთა მრავალფეროვნებას იწვევს.“[91]

ამერიკის პენცენტრთან ინტერვიუში ჯაშმა თქვა: „საკუთარ თავს ვეკითხები, თუ რატომ ააგორა კულტურის სამინისტრომ ეს კამპანია კულტურის წინააღმდეგ? იმიტომ, რომ ხელოვნება და კულტურა იმ მედიუმთა შორისაა, რომლებიც ადამიანის აზროვნებას განსაზღვრავს. საქართველოს ხელოვნება და ფილმები სულ უფრო ცნობილი ხდება მსოფლიოში. ახლა ქვეყანას ბევრი ქართველი ხელოვანი წარმოადგენს და ხშირად, კრიტიკული კუთხით. ხელისუფლებას კი ეს არ მოსწონს.“ [92]

2023 წლის ივნისში პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ სალომე ჯაში და „მოთვინიერება“ გააკრიტიკა და თქვა, რომ ფილმი პოლიტიკურად მოტივირებულია და ის არ უნდა შექმნილიყო. „მთავარია, რომ სამარცხვინო შინაარსის ფილმი არ იყოს გადაღებული, სწორი შინაარსის იყოს,“ თქვა მან.[93] ფილმის პროდიუსერების შეფასებით, ეს განცხადება წარმოადგენდა პერსონალურ თავდასხმას სალომე ჯაშზე და მიმართული იყო თავისუფალი გამოხატვის წინააღმდეგ და სახელმწიფოს მხრიდან კინოს ცენზურისკენ.[94]

---

[89] “Taming the Garden, A Film by Salomé Jashi,” tamingthegarden-film.com/en/.

[90] Giorgi Lomsadze, “Georgia’s park of runaway trees,” EurasiaNet, 19 აგვისტო, 2020, eurasianet.org/georgias-park-of-runaway-trees.

[91] “Fight at the Museum: The Georgian Government Takes on the Arts,” RFE/RL, 9 სექტემბერი, 2022.

[92] ინტერვიუ კინორეჟისორ სალომე ჯაშთან, 3 აგვისტო, 2022.

[93] „საქდოკ ფილმი" კობახიძის განცხადებას კინოს ცენზურისკენ მიმართულ ნაბიჯად მიიჩნევს,“ რადიო თავისუფლება, 20 ივნისი, 2023, www.radiotavisupleba.ge/a/32466341.html.

[94] იქვე.

თეატრი

ლაშა ჩხვიმიანი თბილისის სამხრეთ-დასავლეთით 100 კმ-ში მდებარე პატარა ქალაქ დმანისის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი 2017-2021 წლებში იყო. 2022 წლის დასაწყისში ჩხვიმიანმა განაცხადი შეიტანა მომდევნო 4-წლიანი ვადით დირექტორობაზე გამოცხადებულ კონკურსში. თუმცა 2022 წლის თებერვალში კულტურის სამინისტრომ შერჩევის პროცესი ყოველგვარი განმარტების გარეშე გააუქმა და დირექტორად სხვა ადამიანი დანიშნა, რომელსაც, როგორც ამბობენ, ამ პოზიციის დასაკავებლად განაცხადი საერთოდ არ შეუტანია.[95]

ჩხვიმიანი მის გათავისუფლებას 2019 წელს იბსენის „ხალხის მტრის“ დადგმას უკავშირებს, რომელიც პოლიტიკურ კორუფციას ეხება.[96] ამ პიესის დადგმისთვის ჩხვიმიანი მკაცრად გააკრიტიკეს, მათ შორის, ქალაქის მერმა. სპექტაკლის პრემიერის შემდეგ მერმა მას სახლში ბარათი დაუტოვა, რომელშიც ეწერა „აღარ დავინახო ეს იდიოტური და გროტესკული პიესა სცენაზე!“ მეორე დღეს მერმა ჩხვიმიანი თავის კაბინეტში დაიბარა და გააფრთხილა, რომ თეატრის შენობა სახელმწიფოს ეკუთვნოდა.[97] მოგვიანებით მუნიციპალიტეტმა თეატრის სუბსიდირება შეწყვიტა.[98]

ამ პიესის დადგმის შემდეგ მალევე „არემჯიმ,“ სამთომომპოვებელმა კომპანიამ, რომელიც ხელისუფლებასთან არის დაახლოებული და დმანისში უმსხვილესი დამსაქმებელია, შრომითი კონტრაქტი შეუწყვიტა ჩხვიმიანის მამას, რადგან მისი ოჯახის ქმედებები „კომპანიას აზიანებდა.“[99] ჩხვიმიანი ასევე აცხადებდა, რომ ამ სპექტაკლზე დასწრება საჯარო მოხელეებმაც შეწყვიტეს იმის შიშით, რომ მათ ხელმძღვანელებს ეს არ მოეწონებოდათ.[100]

ლაშა ჩხვიმიანი (მარჯვნივ) ექიმი თომას სტოკმანის როლში ჰენრიკ იბსენის პიესაში „ხალხის მტერი,“ რომელიც პოლიტიკურ კორუფციას ეხება და დმანისის მერმა გააკრიტიკა.

ფოტო: გიორგი ცხელიშვილი

[95] „დმანისის დრამატული თეატრის ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელი წულუკიანს დისკრიმინაციის გამო ომბუდსმენთან უჩივის,“ 5 აპრილი, 2022, News On, on.ge/story/101753-დმანისის-დრამატული-თეატრის-ყოფილი-სამხატვრო-ხელმძღვანელი-წულუკიანს-დისკრიმინაციის-გამო-ომბუდსმენთან-უჩივის.

[96] ინტერვიუ თეატრის დირექტორ ლაშა ჩხვიმიანთან, 23 აგვისტო, 2022.

[97] ინტერვიუ ლაშა ჩხვიმიანთან, 23 აგვისტო, 2022.

[98] „დმანისის დრამატული თეატრის ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელი წულუკიანს დისკრიმინაციის გამო ომბუდსმენთან უჩივის,“ 5 აპრილი, 2022, News On.

[99] ინტერვიუ ლაშა ჩხვიმიანთან, 23 აგვისტო, 2022.

[100] „ყველა დეტალი უნდა ჩაგვაბაროო“ - ინტერვიუ დმანისის თეატრის ყოფილ ხელმძღვანელთან,“ რადიო თავისუფლება, 14 თებერვალი, 2022, www.radiotavisupleba.ge/a/31703213.htm

რადიო თავისუფლების ქართული ბიუროს მიერ გამოქვეყნებული მასალის თანახმად, ჩხვიმიანისა და დრამატული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების ორი სხვა კანდიდატის შემთხვევაში, სარეკომენდაციო საბჭო, რომელიც თეატრის პროფესიონალებისგან შედგებოდა და კონკურსანტების შეფასების კვალიფიკაცია ჰქონდა, ფორმალურ როლს ასრულებდა და საბოლოო გადაწყვეტილებას კულტურის მინისტრი იღებდა.[101] მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა უშვებს შერჩევის ასეთ პროცესს, ის უპრეცედენტო იყო: ადრე, ტრადიციულად, ექსპერტთა სარეკომენდაციო საბჭო დამოუკიდებლად ირჩევდა საუკეთესო კანდიდატს, რომელსაც შემდეგ მინისტრი ამტკიცებდა.[102]

ჩხვიმიანის და სხვა კანდიდატების საჩივრების პასუხად, სახალხო დამცველის აპარატმა (ომბუდსმენი), 2022 წლის 5 ნოემბერს, რეკომენდაციებით მიმართა კულტურის სამინისტროს. მან მოუწოდა სამინისტროს, მაქსიმალურად უზრუნველყოს „პროფესიულ სახელმწიფო თეატრებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დარგის კვალიფიციური ექსპერტებისა და დაინტერესებული საზოგადოების ჩართულობა და გამჭვირვალობა“ და შეზღუდოს სამინისტროს პირდაპირი ჩარევა დირექტორთა შერჩევის პროცესში, საგამონაკლისო შემთხვევების გარდა.[103]

ეროვნული და საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა სფეროში

გამოხატვის თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით, რომლის თანახმადაც „დაუშვებელია ადამიანის დევნა აზრისა და მისი გამოხატვის გამო.“[104] საქართველოს შრომის კოდექსი კრძალავს დისკრიმინაციას, მათ შორის დევნასა და გათავისუფლებას პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების გამო.[105]

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის თანახმად, გამოხატვის თავისუფლების უფლება მოიცავს ყველა ადამიანის თავისუფლებას, გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები და შეხედულებები ყოველგვარი ჩარევისა და შურისძიების შიშის გარეშე. გამოხატვის თავისუფლების უფლება არა მარტო ფუნდამენტური, არამედ მრავალმხრივია.

---

[101] „პროფესიული თეატრების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 15 ივლისი, 2020, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, matsne.gov.ge/ka/document/view/4919851?publication=0.

[102] ინტერვიუ ლაშა ჩხვიმიანთან, 23 აგვისტო, 2022.

[103] „თანასწორობის პრინციპთან შეუსაბამო პრაქტიკად მიიჩნია ომბუდსმენმა თეატრებში ხელმძღვანელების დანიშვნა,“ რადიო თავისუფლება, 5 ნოემბერი, 2022, radiotavisupleba.ge/a/32116943.html.

[104] საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წლის 24 აგვისტო, შესწორებების ჩათვლით, მუხლი 17.

[105] საქართველოს შრომის კოდექსი, 2010 წლის 17 დეკემბერი, შესწორებების ჩათვლით, მუხლი 2(3).

ის მოიცავს ყველა ადამიანის უფლებას, მოიძიოს და მიიღოს ყველა ტიპის ინფორმაცია და იდეები სხვადასხვა გზით, მათ შორის ზეპირი, წერილობითი, ბეჭდური, ხელოვნების თუ გამოხატვის მხატვრული საშუალებებით.[106]

პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების მრავალფეროვნება, რომლებსაც მწერლები, მხატვრები, რეჟისორები, კურატორები, თეატრის რეჟისორები, მკვლევრები და კულტურის სფეროს სხვა მუშაკები იზიარებენ, გამოხატვის თავისუფლების უმნიშვნელოვანესი საზომია ნებისმიერ საზოგადოებაში და მოიცავს საზოგადოების წევრთა უფლებას, მიიღონ ინფორმაცია და იდეები ხელისუფლების ყოველგვარი ჩარევის გარეშე. მწერალთა, კინემატოგრაფისტთა, მხატვართა თუ სხვათა შემოქმედებაში ჩარევა არღვევს მათი თვითგამოხატვის თავისუფლების ინდივიდუალურ უფლებას, ასევე ყველა სხვა ადამიანის უფლებებს, რომლებსაც სურთ, ჰქონდეთ წვდომა ლიტერატურასთან, ფილმებთან და ხელოვნებასთან მათი გამოხატვის მრავალფეროვან ფორმებში და სარგებლობდნენ მათი სიკეთეებით.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით ყველას აქვს კულტურული უფლებები, მათ შორის ხელოვნების გზით თავისუფალი თვითგამოხატვის და ხელოვნების მრავალფეროვანი ფორმების შექმნის უფლება. ასევე, ყველა ადამიანს აქვს უფლება, ჰქონდეს წვდომა, შეიტანოს წვლილი და მიიღოს მონაწილეობა კულტურულ ცხოვრებაში და ისარგებლოს კულტურული მემკვიდრეობის სიკეთეებით.[107] ეს უფლებები ყველაზე მკაფიოდ არის გაწერილი „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტში," რომელიც რატიფიცირებულია საქართველოს მიერ.[108]

კულტურული უფლებები ასევე მოიცავს ყველას უფლებას, ისარგებლოს სამეცნიერო პროგრესის სიკეთეებით და მონაწილეობა მიიღოს მასში,[109] რაც გულისხმობს თეორიულ და პრაქტიკულ კვლევასა და შესწავლას მეცნიერების ყველა სფეროში, მათ შორის ისტორიის, ხელოვნების ისტორიის, არქეოლოგიისა და სხვა მეცნიერებებში.[110] მეცნიერება მოითხოვს „კვლევის თავისუფლების ურყევ დაცვას;" ხელისუფლებებმა უნდა უზრუნველყონ ადამიანთა თავისუფლება, ჩაატარონ კვლევები და უნდა დაიცვან ისინი მათ დამოუკიდებელ თვალსაზრისზე გაუმართლებელი ზეგავლენის მოხდენის მცდელობისგან.[111]

საქართველოს ხელისუფლების მიერ წამყვანი მკვლევრების ჩამოშორება კულტურის დაწესებულებებისგან და მათთვის გრანტებისა და სხვა რესურსების უზრუნველყოფაზე უარი საფრთხეს უქმნის როგორც ამ ადამიანთა კულტურულ უფლებებს და სამეცნიერო პროგრესში მონაწილეობის უფლებას, ასევე ქართველების და სხვა ადამიანების უფლებებს, ისარგებლონ იმ კვლევების, ინფორმაციისა და ცოდნის სიკეთეებით, რომლებიც მეცნიერებისა და კულტურის რიგ დარგებში არსებობს.

---

[106] სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი (ICCPR), ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს, მუხლი 19, და ადამიანის უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №34, 12 სექტემბერი, 2011.

[107] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი (ICESCR), ძალაში შევიდა 1976 წლის 3 მარტს, იანვარს, მუხლი 15.

[108] გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეკრულებები ადამიანის უფლებებში, საქართველოს მიერ რატიფიკაციის სტატუსი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეკრულებების მონაცემთა ბაზა, ბოლოს ნანახია 2023 წლის 5 ოქტომბერს, ohchr.org/_layouts/15/TreatyBodyExternal/Treaty.aspx?CountryID=65&Lang=EN

[109] ICESCR, მუხლი 15; ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №25, 30 აპრილი, 2020,

[110] ICESR, მუხლი 15; „კულტურული უფლებები," ESCR Net, escr-net.org/rights/cultural

[111] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი, ზოგადი კომენტარი №25.

სადამსჯელო ქმედებებს და სისტემატურ თავდასხმებს საქართველოს კულტურის ინსტიტუტების შემოქმედებით და პროფესიონალურ დამოუკიდებლობაზე, ისევე როგორც ცალკეულ ხელოვანებსა და პროფესიონალებზე, მსუსხავი ეფექტი ექნება გამოხატვის თავისუფლებაზე მთელ ქვეყანაში და კიდევ უფრო დაავიწროებს სამოქალაქო სივრცეს.

ეს ქმედებები კულტურული უფლებების საკითხებში გაერო-ს სპეციალური მომხსენებლის ფარიდა შაჰიდის რეკომენდაციებსაც ეწინააღმდეგება. მისი რეკომენდაციის თანახმად, „კულტურის სახელმწიფო პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს შემოქმედებით თავისუფლებებს, განსაკუთრებით, როდესაც განისაზღვრება კრიტერიუმები სახელმწიფო მხარდაჭერისთვის შემოქმედებითი დარგის მუშაკების და დაწესებულებების შესარჩევად, იქმნება გრანტების განაწილებაზე პასუხისმგებელი ორგანოები და განისაზღვრება მათი უფლებამოსილებები და საქმიანობის წესები. ასეთი სისტემის არსებობა ხელს უწყობს ხელოვნებაზე სახელმწიფოს არამართლზომიერი ზეგავლენის თავიდან აცილებას.“[112]

დასკვნა და სამომავლო ნაბიჯები

საქართველოს ხელისუფლების მცდელობა, შელახოს კულტურის დარგის მუშაკების და დაწესებულებების დამოუკიდებლობა, არ არის ბიუროკრატიული ახირება, არამედ ორგანიზებული ქმედებაა, რომლის მიზანიც გამოხატვის თავისუფლების და კულტურული უფლებების შეზღუდვაა. ეს თავდასხმები სერიოზულ საფრთხეს უქმნის ამ უფლებებით სარგებლობას საქართველოში და ძირს უთხრის ადამიანის სხვა უფლებების გამოყენებასაც.

კულტურის დამოუკიდებელი ინსტიტუტების დასუსტებისკენ მიმართული ქმედებები, კულტურის მოღვაწეებზე თავდასხმები და მათი გაჩუმება, ისეთი შემოქმედებითი გამოხატვის ჩახშობა, რომელიც ხელისუფლებას ეწინააღმდეგება და აკრიტიკებს, განსაკუთრებით სამწუხაროა, თუ ქვეყნის ისტორიას გავითვალისწინებთ: ამ ანგარიშის მოსამზადებლად გამოკითხულმა რამდენიმე ადამიანმა ამერიკის პენცენტრთან საუბრისას ქვეყნის ისტორიისთვის მტკივნეული დრო - საბჭოთა ოკუპაცია, გაიხსენა, როდესაც ხელოვნების და კულტურის ყველა დარგი სისტემატურად ითრგუნებოდა ანდა სამთავრობო პროპაგანდისთვის გამოიყენებოდა. მათი თქმით, დემოკრატიის და ადამიანის უფლებების პატივისცემის კუთხით ქვეყნის პროგრესი შეიძლება შემოქმედებითი და კულტურული თავისუფლების პრიზმიდან შეფასდეს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კულტურის მუშაკებმა და საქართველოს კულტურის აღმავლობამ ხელი შეუწყო უფრო ტოლერანტული და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბებას.

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების, კულტურის დამცველებისა და ადამიანის უფლებათა აქტივისტების შეშფოთებას სულ უფრო მეტად იზიარებენ საერთაშორისო აქტორები. ევროკავშირის წევრობაზე საქართველოს განაცხადის შესახებ პირველ

[112] გაეროს- სპეციალური მომხსენებელი კულტურული უფლებების სფეროში, „ანგარიში შემოქმედებითი გამოხატვის და შემოქმედების თავისუფლების უფლების შესახებ,“ ,” A/HRC/23/34, March 14, 2013, ohchr.org/en/documents/thematic-reports/ahrc2334-report-right-freedom-artistic-expression-and-creation#:~:text=The%20Special%20Rapporteur%20encourages%20States,protect%20and%20fulfil%20this%20right.

დასკვნაში ევროკომისიამ განსაკუთრებული შეშფოთება გამოხატა მედიის თავისუფლების და ადამიანის სხვა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. ამერიკის შეერთებული შტატები, თავის განცხადებებსა და ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ წლიურ ანგარიშებში, უკმაყოფილებას გამოხატავს, მათ შორის შეშფოთებას „მედიაგარემოს შევიწროების" შესახებ.[113]

გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა საქართველოს შესახებ 2022 სექტემბერში გამოქვეყნებულ დასკვნით მოსაზრებებში აღნიშნა, რომ უნდა გაძლიერდეს გამოხატვის თავისუფლების დაცვა, მათ შორის, მხატვრებისა და მწერლებისთვის და მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას „გააორმაგოს ძალისხმევა, რათა აღკვეთოს სახელმწიფო მოხელეებისა და კერძო აქტორების მცდელობები, ... ჩაერიონ ჟურნალისტების, მხატვრების, მწერლების, უფლებადამცველების მიერ გამოხატვის თავისუფლების უფლების ლეგიტიმურ გამოყენებაში." [114]

რეჟისორმა სალომე ჯაშმა ხაზი გაუსვა კულტურული და შემოქმედებითი თვითგამოხატვის ძალასა და მნიშვნელობას, ასევე კულტურული უფლებების როლს უფრო სამართლიანი, კეთილსინდისიერი და ადამიანის უფლებების პატივისმცემელი საზოგადოების შექმნასა და შენარჩუნებაში. „მე ვფიქრობ, ჩვენი კულტურის მინისტრი, ზოგჯერ, ცდილობს საზოგადოებას მოახვიოს აზრი, რომ ხელოვანები დაფინანსებას საკუთარი საჭიროებებისთვის ეძებენ. არადა, ჩვენ ამას ვაკეთებთ ხელოვნების ნიმუშების შესაქმნელად, რომ ადამიანებს სტიმული მივცეთ. ჩვენ დახმარება გვჭირდება სხვა ქვეყნებისგან, რომლებიც გამოხატვის თავისუფლებას უჭერენ მხარს. ჩვენ გვჭირდება საგამოფენო სივრცეები, რომ ვაჩვენოთ ფილმები, რომლებიც თავისუფლებაზე, ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიაზე მოუთხრობენ. ეს ის თემაა, რაზეც ადგილობრივ მოსახლეობას უნდა ვესაუბროთ, რათა შევცვალოთ ჩვენი გარემო, გავაუმჯობესოთ და გავხადოთ ის უფრო ტოლერანტული და თავისუფალი," გვითხრა მან.[115]

საქართველოს მთავრობა, რომელიც ქართული კულტურის დამოუკიდებლობის და დინამიზმის ჩახშობას, მისით მანიპულირებას და მის გაკონტროლებას ცდილობს, მკაფიოდ ხედავს ამ ძალას და ეშინია მისი. რადგან კულტურის მუშაკები სულ უფრო ხშირად გამოდიან საქართველოში მზარდ ავტორიტარიზმთან დაპირისპირების წინა ხაზზე, მსოფლიომ მათ ბრძოლას მხარი უნდა დაუჭიროს და მათ ადამიანის უფლებების დაცვაში დაეხმაროს.

---

[113] „ელჩი დეგნანი: ჩვენ ვხედავთ მედიაგარემოს შევიწროებას საქართველოში," Civil, 25 მარტი, 2023, civil.ge/archives/533576; აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების საკითხებში კარა მაკდონალდის კომენტარები მედიასთან პარლამენტში, აშშ-ის საელჩო საქართველოში, 10 ივნისი, 2022, usembassy.gov/deputy-assistant-secretary-for-democracy-human-rights-and-labor-kara-mcdonalds-remarks-to-media-at-parliament/.

[114] „დასკვნით მოსაზრებებში საქართველოზე მე-5 პერიოდული ანგარიშის შესახებ," გაერო-ს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, 135-ე სესია, 2022 წლის სექტემბერი, გაეროს ციფრული ბიბლიოთეკა, ბოლოს ნანახია 2023 წლის 5 ოქტომბერს. digitallibrary.un.org/record/3987487?ln=en.

[115] ინტერვიუ სალომე ჯაშთან, 3 აგვისტო, 2022.

რეკომენდაციები საქართველოს მთავრობის მიმართ

- **შეაჩერეთ საქართველოს ეროვნული მუზეუმების სისტემის და საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის პროცესი. შექმენით დამოუკიდებელი საბჭო შესაბამისი დარგების ექსპერტებისა და პროფესიონალებისგან, რომელიც კონსულტაციას გაუწევს კულტურის სამინისტროს მრავალფეროვანი მოსაზრებებისა და შესაბამის გამოცდილების უზრუნველყოფით, რათა სამინისტრომ შეიმუშაოს გეგმები ქვეყნის მუზეუმების, ეროვნული კინოცენტრის და სხვა დაწესებულებებისა და პროგრამების განვითარებისთვის.**

- **საჯაროდ იკისრეთ ვალდებულება, უზრუნველყოთ მუზეუმებსა და კულტურის სხვა დაწესებულებებში თანამშრომელთა აყვანის კანონიერი, სამართლიანი და გამჭვირვალე შეფასების პროცესი.**

- **აღადგინეთ ის თანამშრომლები მათ წინა პოზიციებზე, რომელთა გათავისუფლებასაც სასამართლო უსამართლოდ ცნობს, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მათი აღდგენა შეუძლებელია კანონით.**

- **უზრუნველყავით კულტურის გათავისუფლებულ მუშაკებსა და მსგავს საქმეებზე სასამართლოს გადაწყვეტილებების ეფექტიანი და დროული აღსრულება, მათ შორის კომპენსაციის გადახდა.**

- **მიეცით შესაძლებლობა კვალიფიციური სპეციალისტებისგან შემდგარ ექსპერტთა დამოუკიდებელ ორგანოებს, როგორებიცაა, მაგალითად, სახელმწიფო თეატრების დირექტორთა შესარჩევი კომისია, საგრანტო განაცხადების განმხილველი სამეცნიერო საბჭო და მსგავსი ორგანოები, მიიღონ გადაწყვეტილებები და გასცენ რეკომენდაციები კულტურის ფეროში და პატივი ეცით მათ გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებს.**

- **წარმართეთ კეთილსინდისიერი მოლაპარაკებები და პატივი ეცით შეთანხმებებს საქართველოს მეცნიერების, განათლებისა და კულტურის მუშაკთა პროფესიულ კავშირთან.**

- **უზრუნველყავით, რომ გრანტის მიმღებებმა, რომლებიც მათ კულტურის, სამეცნიერო-კულტურული კვლევის თუ სხვა მიზნებისთვის მიენიჭათ, შეუფერხებლად განახორციელონ თავიანთი პროექტები შესაბამისი დაწესებულებების ჩარევის გარეშე და მათი მხრიდან დახმარების გზით, როგორც ამას საპროექტო დოკუმენტაცია და სხვა შეთანხმებები ითვალისწინებს. ეს მოიცავს წვდომის უზრუნველყოფას მუზეუმის კოლექციებთან, შესაბამის არტეფაქტებსა და სხვა რესურსებთან.**

- **მიეცით უფლება მკვლევრებს, გადაიტანონ გრანტით დაფინანსებული თავიანთი პროექტები სხვა დაწესებულებებში.**

- **აქტიურად შეასრულეთ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად ევროკავშირის მიერ განსაზღვრული 12 პრიორიტეტი, რომლებიც ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის და დემოკრატიის გაძლიერების მიზანს ემსახურება.**

რეკომენდაციები საერთაშორისო საზოგადოებრიობის, მათ შორის ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ

- **აღმოუჩინეთ ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერა დამოუკიდებელ მხატვრებს, მწერლებს, რეჟისორებს, მსახიობებს და საქართველოს კულტურის სხვა წარმომადგენლებს და აღკვეთეთ ხელისუფლების ნებისმიერი მცდელობა, გააკონტროლოს ან ჩაერიოს ასეთ მხარდაჭერაში.**

- **საჯაროდ და პრივატულად გამოხატეთ მძლავრი და მკაფიო მხარდაჭერა ადამიანის უფლებების, გამოხატვის და ინფორმაციის თავისუფლებების მიმართ და განსაკუთრებით გაუსვით ხაზი კულტურის სფეროს მნიშვნელობას და აქტუალობას სიტყვის თავისუფლების ხელშეწყობაში.**

- **მხარი დაუჭირეთ სამოქალაქო საზოგადოების დამოუკიდებელ ორგანიზაციებს, მათ შორის კულტურის სხვადასხვა ორგანიზაციას. სათანადო ყურადღებით მოეკიდეთ მხარდაჭერის აღმოსაჩენად ორგანიზაციების შერჩევის პროცესს და პრიორიტეტი მიანიჭეთ დამოუკიდებელ ორგანიზაციებს.**

- **მოითხოვეთ, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დაიცვას კანონის უზენაესობა, გამოიძიოს და პასუხი აგებინოს იმ პირებს, რომლებიც არღვევენ გამოხატვის თავისუფლებას და ინფორმაციის მიღების უფლებას.**

- **ხაზი გაუსვით საქართველოს ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებების და გამოხატვის თავისუფლების პრინციპების, როგორც შეერთებულ შტატებსა და სხვა დემოკრატიულ ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების ერთ-ერთი ფუძემდებლური ელემენტის, დაცვის საჭიროებას.**

- **მოუწოდეთ საქართველოს ხელისუფლებას, უარი თქვას ისეთ კანონებსა და პრაქტიკაზე, რომლებიც ზღუდავს თავისუფალ გამოხატვას, მათ შორის ისეთებზე, რომლებიც:**

    1. ასუსტებს კულტურის დაწესებულებების დამოუკიდებლობას;

    2. აფერხებს მოსაზრებების გამოხატვას წერილობითი ფორმით, ხელოვნების გზით ან კულტურის დაწესებულებებში პოლიტიკური შეხედულებებისა თუ ორიენტაციის გამო რეალური თუ სავარაუდო შურისძიების შიშით;

    3. ახდენს ზეპირი და/ან წერილობითი სიტყვის კრიმინალიზებას, შეზღუდვას ან სხვაგვარად დასუსტებას;

    4. ავიწროებს სივრცეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თავისუფალი საქმიანობისთვის.

მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიში ეფუძნება საჯაროდ ხელმისაწვდომი ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი წყაროების სიღრმისეულ სამაგიდე კვლევას, ასევე 12 ინტერვიუს, რომლებიც 2022 წლის აგვისტოსა და 2023 წლის ივნისში ჩატარდა საქართველოს კულტურის მუშაკებთან და სასამართლო დავებში მათი ინტერესების დამცველ ადვოკატებთან. ინტერვიუები ჩატარდა რამდენიმე ექსპერტთანაც ქართული პოლიტიკის და ადამიანის უფლებების საკითხებში. 2023 წლის 5 მაისს ამერიკის პენცენტრმა წერილი გაუგზავნა კულტურის სამინისტროს, რომელშიც ამ კვლევის მიგნებებთან დაკავშირებული კითხვები იყო ჩამოწერილი და სთხოვა მათი კომენტირება. ამ ანგარიშის წერის მომენტისთვის სამინისტროსგან პასუხი არ მიგვიღია.

მადლობის გადახდა

კვლევა ჩაატარეს და ანგარიში მოამზადეს ამერიკის პენცენტრის ევრაზიის პროგრამის დირექტორმა პოლინა სადოვსკაიამ და ამერიკის პენცენტრის კონსულტანტმა ჯეინ ბიუკენენმა. ანგარიში განიხილეს PEN/Barbey Freedom to Write Center-ის დირექტორმა ლიზლ გერნჰოლცმა და ამერიკის პენცენტრის მკვლევართა გუნდმა. ანგარიშის რედაქტორია ლისა გოლდმანი.

ამ ანგარიშზე საექსპერტო მოსაზრებები მოგვაწოდეს, ასევე, საქართველოში ადამიანის უფლებების საკითხების შემდეგმა ექსპერტებმა: ქეთი აბაშიძე, „ადამიანთა უფლებათა სახლის ფონდის“ უფროსი მრჩეველი ადამიანის უფლებათა საკითხებში; გიორგი გოგია, ორგანიზაცია „ჰუმან რაითს ვოჩის“ ევროპისა და ცენტრალური აზიის განყოფილების ასოცირებული დირექტორი. ამერიკის პენცენტრი მადლობას უხდის მათ გამოთქმული მოსაზრებებისა და ამ ანგარიშში შეტანილი წვლილისთვის.

საქართველოს ხელისუფლების მიერ სიტყვის თავისუფლებისა და შემოქმედებითი თვითგამოხატვის შევიწროების ქრონოლოგია

საქართველოს ხელისუფლებამ კულტურის სფეროს კრიტიკულად განწყობილი წარმომადგენლების საქმიანობაში ჩარევა მკვეთრად გააძლიერა 2021 წლის მარტში თეა წულუკიანის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრად დანიშვნის შემდეგ.

ეს შემთხვევები კულტურის მუშაკებს აზრის გამოთქმის საფრთხის შესახებ მიანიშნებს და აიძულებს მათ, ლოიალობა გამოიჩინონ კულტურის სამინისტროს მიმართ, რაც ადასტურებს არსებული მთავრობის სურვილს, კონტროლს დაუქვემდებაროს კულტურული ცხოვრება და თავისუფალი გამოხატვა საქართველოში. წაიკითხეთ „კულტურის მოთვინიერება საქართველოში“ PEN.org-ზე

2021 წლის აპრილი

კულტურის სამინისტრო ქმნის ახალ დირექტორატს ეროვნული მუზეუმების სისტემაზე ზედამხედველობისთვის და მუზეუმების გამოცდილ მენეჯერებს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილებას ართმევს.

2021 წლის ივლისი

სამინისტროს მიერ დაწყებულ მუზეუმის სისტემის „რეორგანიზაციას“ შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმიდან სპეციალისტთა გათავისუფლების პირველი ტალღა მოჰყვება. თანამშრომლებს მათი პოლიტიკური შეხედულებების და კავშირების შესახებ ეკითხებიან.

2021 წლის ივნისი

სამინისტრო აძლიერებს წნეხს ლიტერატურულ კონკურს „ლიტერაზე“ და ითხოვს ჟიურის შემადგენლობის დამტკიცებას და მთავრობის წარმომადგენლის ჟიურიში შეყვანას იმ კონკურსის დასაფინანსებლად, რომელსაც სახელმწიფო „მწერალთა სახლი“ 2015 წლიდან ატარებს.

2022 წლის თებერვალი

კულტურის მინისტრის ბრძანებით მუზეუმის დირექტორატს საგრანტო პროცესის გაკონტროლების უფლებამოსილება ენიჭება, რასაც კულტურის სფეროს იმ კვლევით გრანტებში ჩარევა და მათი ბლოკირება მოჰყვება, რომლებიც უკვე მინიჭებულია.

2022 წლის მარტი

კრიტიკული პოსტების შემდეგ, რომლებშიც, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლება უკრაინელების არასაკმარისი მხარდაჭერისთვის გააკრიტიკა, ათავისუფლებენ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორ გაგა ჩხეიძეს პოლიტიკურად მოტივირებული აუდიტის მიერ თითქოსდა აღმოჩენილი დაუდასტურებელი დარღვევების საფუძველზე.

2022 წლის თებერვალი

სამინისტრო მოულოდნელად ნიშნავს ახალ დირექტორს დმანისის სახელმწიფო თეატრში და ცვლის თეატრის დირექტორს ლაშა ჩხვიმიანს, რომელსაც ადრე ქალაქის მერი დაემუქრა ჰენრიკ იბსენის პიესა „ხალხის მტრის“ დადგმის გამო. ჩხვიმიანი დირექტორის თანამდებობას 2017 წლიდან იკავებდა და ერთადერთი კანდიდატი იყო ვადის გასაგრძელებლად გამოცხადებულ კონკურსში.

2022 წლის აპრილი

საქართველოს კინოაკადემიის ახლად დანიშნული პრეზიდენტი აუქმებს სალომე ჯაშის ფილმი „მოთვინიერების“ ჩვენებას, რომელიც, გავრცელებული მოსაზრებით, ყოფილი პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილის შესახებაა.

2022 წლის მაისი

მუზეუმის თანამშრომელთა გათავისუფლების მომდევნო ტალღის შემდეგ კულტურის მუშაკთა პროფკავშირი მათ გათავისუფლებას აპროტესტებს. რამდენიმე კვირით ადრე ეს პროფკავშირი მუზეუმის რამდენიმე თანამშრომელმა აგრესიული „რეორგანიზაციის“ პასუხად შექმნა.

2023 წლის აგვისტო

„მწერალთა სახლის“ დირექტორ ნატაშა ლომოურს ათავისუფლებენ და მის ადგილას „ქართული ოცნების“ პარლამენტარს ნიშნავენ, რომელმაც „უცხოური აგენტების“ კანონპროექტს დაუჭირა მხარი. ლომოურს ატყობინებენ, რომ მისი გათავისუფლება ხუთ დღეში შედის ძალაში.

2023 წლის ივნისი

სამინისტრო საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის „რეორგანიზაციას“ ატარებს მას შემდეგ, რაც თანამშრომლებმა კინოცენტრის დამოუკიდებლობის შეზღუდვა ღია წერილით გააპროტესტეს. ახალ დირექტორად დანაშაულის პრევენციის სამსახურის ყოფილი მაღალჩინოსანი ინიშნება.

2023 წლის თებერვალი

მხატვარი სანდრო სულაბერიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის გამოძიება იწყება მუზეუმში მისი პერფორმანსის საქმეზე, რომლის დროსაც მან საკუთარი ნამუშევარი ეროვნული გალერეის კედლიდან ჩამოხსნა და მის ადგილას კედელზე დაწერა „ხელოვნება ცოცხალი და დამოუკიდებელია!“

PEN
AMERICA